# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბეტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 17-18 აგვისტო. 2019 წ. №164 (8830) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## „მაყურებელს უნდა მიუკერძოებელი და არა ოპოზიციური, დესტრუქციული ტელევიზია“




იხ. 5 გვ.


## ლევან ვასაძეს იურისტი თედ ჯონასი უჩივის!

**იურისტი** თედ ჯონასი ლევან ვასაძის წინააღმდეგ – ჯონასი მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართავს. „რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, იურისტი დარწმუნებულია, რომ ვასაძემ თავის განცხადებებით და ქმედებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მინიმუმ 14 სხვადასხვა მუხლი დაარღვია, შესაბამისად მის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. მათ შორისაა: უკანონო დისკრიმინაცია, ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარა, ადამიანთა დევნა, უკანონო ფორმირების შექმნა, ძალადობისაკენ საჯარო მოწოდებები და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. თედ ჯონასი ვასაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვს.

## რამდენად აქვს პრემიერის ოპტიმიზმს საფუძველი?!


4


## „სებ“-მა მიმოქცევაში გაუშვა 1.2 მილიარდი ლარი და ეს გახლავთ ლარის კურსის ვარდნის ძირითადი მიზეზი“

## როდესაც „ყოფილს“ არ სურს „ყოფილობა“

6

## „ზა ეტო მორდუ ბიუტ“


8


**დავიწყოთ იმით, რომ „არარატ არმენიამ“ გაბედა და თბილისში, აფხაზეთის ომის დაწყების დღეს, გაშირის წარწერიანი მაისურებით ითამაშა. დავიჯეროთ, ყველას დაავიწყდა, რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი ლორე-გაშირი საუკუნის წინათ სწორედ სომხეთს უფეშქაშეს ბოლშევიკებმა?!**

## შეზღუდვები მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე

**მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 125 კმ-ზე, მდინარე „თერგზე“ არსებულ სახიდე გადასასვლელზე სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულის გამო, გზის ამ მონაკვეთზე, 2019 წლის 19-22 აგვისტოს, ყოველდღე, 12-დან 16 საათამდე იკრძალება მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.**

დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში კი, ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. მოძრაობა საპატრულო პოლიციის ზედამხედველობითა და კოორდინაციით განხორციელდება.

# ზუგდიდიდან – მხოლოდ ექსპორტზე

**ყოველი ასეთი პროექტი არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ მივაღწიოთ მთავარ მიზანს — თანაბრად განვავითაროთ ჩვენი რეგიონები და ნაბიჯ-ნაბიჯ დავძლიოთ სიღარიბე,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ზუგდიდში თხილის მწარმოებელ ფერმერებთან შეხვედრისას განაცხადა.

**„ჩვენ ვიმყოფებით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საწარმოში, რომელიც სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით აშენდა პროგრამა ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში. ეს არის ყველაზე თანამედროვე და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო და ძალიან მიხარია, რომ ჩვენ სამეგრელოში გვაქვს მსგავსი ტიპის და მსგავსი დონის თხილის საწარმო. ეს საწარმო არის მაგალითი იმისა, თუ როგორი მასშტაბური პოტენციალი გვაქვს ჩვენ სამეგრელოში. სამეგრელოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან მძიმე გამოწვევა გვქონდა, რომელიც დღესაც გრძელდება, თუმცა ერთობლივი ძალებით ჩვენ შევძელით ფაქტობრივად შეუძლებელი და მიმდინარე წლის თხილის მოსავალი არის იმაზე მეტი, ვიდრე ყველაზე ოპტიმისტ ადამიანსაც კი არ წარმოედგინა თუნდაც რამდენიმე თვის წინ. ეს არის ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგი“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს აზიური ფაროსანას პრობლემის მოგვარება მიუახლოვდა დასასრულს. მთავრობის მეთაურის თქმით, მოსავლის ჩაბარების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და წელს ფერმერები მაღალ შემოსავალს მიიღებენ.

**პრემიერ-მინისტრმა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში წარმოებულმა არასწორმა პოლიტიკამ ქართული სოფლის დაკნინება გამოიწვია, თუმცა, მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო პერიოდის სტატისტიკამ ცხადყო, რომ 6 წლის შემდეგ ქვეყანამ სოფლის მეურნეობაში სავაჭრო დეფიციტის 900 მილიონიდან 300 მილიონამდე შემცირება შეძლო.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი თხილის საწარმო „ჯეო-ნათსში“ თხილის მიღებისა და გადამუშავების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილსა და აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელ ელიზაბედ რუდთან ერთად გაეცნო.

**შპს „ჯეო ნათსი“ „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, 2 780 000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, საწარმოში წელიწადში 7-10 ათას ტონამდე თხილისგან სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოებაა შესაძლებელი. პროდუქცია მთლიანად ექსპორტისთვის არის განკუთვნილი. გადამმუშავებელ საწარმოში 100 ადამიანია დასაქმებული.**

# დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები სოფელ გუგუტიანთკარში

**როგორც საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი ადგილიდან იუწყება, გუგუტიანთკარში ჩავიდა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის 20-მდე წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოში ავსტრიის, ესტონეთის, ბულგარეთის, ბრაზილიის, ლატვიის ელჩები.**

ამასთან, ადგილზე იმყოფებიან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები. ისინი დიპლომატებს საოკუპაციო ხაზთან შექმნილ ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს აცნობენ. რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო ხაზთან, სოფელ გუგუტიანთკარსა და ოკუპირებულ სოფელ დისევს შორის რკინის ბოძების მონტაჟი ხუთშაბათ დილიდან კვალავ განაახლეს. მათ მიერ წინა დღეებში დამონტაჟებულ რკინის ბოძებზე უკვე გავლებულია რკინის ღობე. ღობის მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა ორი საცხოვრებელი სახლი.

**„მნიშვნელოვანია, მთელმა მსოფლიომ თავისი თვალით ნახოს არა მარტო ის, თუ რა არის ოკუპაციის შედეგი, რომელიც გავლენას ახდენს უსაფრთხოების გარემოს გაუარესებაზე, არამედ ისიც, თუ როგორ აუარესებს კონკრეტული ოჯახების მდგომარეობას,** — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლაშა დარსალიამ სოფელ გუგუტიანთკარში განაცხადა, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მინისტრის მოადგილის თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მყისიერად დაუკავშირდა ჟენევის თანათავმჯდომარეებსა და საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. მათ მიეწოდათ სრულყოფილი ინფორმაცია არსებულ ვითარებასთან დაკავშირებთ.

**„მოგეხსენებათ, საოკუპაციო ძალებმა განაახლეს ბორდერიზაციის პროცესი. როგორც კი მივიღეთ ეს ინფორმაცია, სახელმწიფომ აამუშავა შესაბამისი მექანიზმები. პირველ რიგში, გააქტიურდა ცხელი ხაზი და შესაბამისი კომუნიკაცია მოხდა. დავუკავშირდით ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, ასევე დავუკავშირდით ჟენევის თანათავმჯდომარეებს და მივაწოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. შემდეგ მოხდა დიპლომატიური კორპუსის ორგანიზება და შეხვედრა გავმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც სრულყოფილად მივაწოდეთ ინფორმაცია არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ დავგეგმეთ, რომ უშუალოდ ადგილზე გაგვეცნო მათთვის სიტუაცია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიპლომატიურმა კორპუსმა, მთელმა მსოფლიომ თავისი თვალით ნახოს, რას ნიშნავს რუსული ოკუპაცია და ნახონ არა მარტო ის, თუ რა არის ოკუპაციის შედეგი, რომელიც გავლენას ახდენს უსაფრთხოების გარემოს გაუარესებაზე, არამედ ისიც, თუ როგორ მოქმედებს ჰუმანიტარულ ვითარებაზე, როგორ აუარესებს კონკრეტული ოჯახების მდგომარეობას“,** — განაცხადა ლაშა დარსალიამ.

# განახლებული პროგრამის შესაბამისად დაკომპლექტდება ჩვენი გუნდი

**მე ვიყავი, ვარ და ვიქნები „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი. რაც შეეხება ცვლილებებს, ჩვენ ვართ ერთი გუნდი და ეს არის ცოცხალი პროცესი,** — ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გუშინ ჟურნალისტების მიერ სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

**„ჩვენ პარლამენტში წარვადგენთ განახლებულ პროგრამას, შესაბამისად, გუნდის დაკომპლექტებაც ამ პროგრამაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ ვართ ორიენტირებული შედეგებზე. ის პროგრამა, რომელიც შარშან წარვადგინეთ და წარვადგენთ, რაც 2020 წლის არჩევნებისთვის არის განმსაზღვრელი. შესაბამისად, ნებისმიერი პოზიცია დაკომპლექტდება სწორედ ამ პროგრამის შესაბამისად“,** — აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

# ვაკეთებთ ყველაფერს, რათა გუგუტიანთკარელებს გვერდში ამოვუდგეთ

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ტყუილს და დეზინფორმაციას უწოდებს განცხადებებს, რომ სოფელ გუგუტიანთკარში ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის განახლების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩასულან.**

როგორც მთავრობის მეთაურმა აბაშაში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, პრობლემის დაწყებისთანავე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები ადგილზე იყვნენ 24-საათიან რეჟიმში.

**„ჩემი თხოვნით, იქ იმყოფებოდა როგორც ქეთევან ციხელაშვილი, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დღეს ადგილზე იყო ჩასული დიპლომატიური კორპუსი და სამწუხაროდ, ყველამ კიდევ ერთხელ დაინახა, როგორ აგრძელებს რუსეთი ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას, სამწუხაროდ გრძელდება ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, აღმოვუჩინოთ დახმარება და მინდა, დავარწმუნო საქართველოს მოქალაქეები, რომ ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა გვერდში ამოვუდგეთ ამ ხალხს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოკუპაცია და ე.წ. ბორდერიზაცია არის ძალიან მტკივნეული პროცესი და ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის სრული კონსოლიდაცია იმისთვის, რომ ამას წინ აღვუდგეთ. სწორედ ამას ემსახურება ის, რომ პირველივე დღიდან ყველა საერთაშორისო ფორმატს ვიყენებთ, რომ მოხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრის კონსოლიდაცია, რათა როგორმე შევაჩეროთ ეს მტკივნეული პროცესი.**

**რის საფუძველზე ამბობთ, რომ ეს საკითხი რომელიმე ფორმატში კრიტიკულად არ დავსვით? რამდენიმე დღის წინ გაერო-ში ჩატარდა უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე. გაერო-ს ტრიბუნა არის ყველაზე მაღალი ტრიბუნა, სადაც ეს პრობლემა შეიძლება დაისვას. თქვენ აგრძელებთ დეზინფორმაციის კამპანიას. ჩვენი უწყებები პირველივე დღიდან იყვნენ იქ და იმყოფებოდნენ ჩვენი მოქალაქეების გვერდით“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ.

# ელიზაბეთ რუდი: გვჯერა, ანაკლიის პორტის პროექტი ამერიკული ინვესტიციით უნდა შესრულდეს

**კონკრეტულ მეწილეებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვას ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან გადავამისამართებდი,** – ასე უპასუხა ჟურნალისტებს კითხვას ანაკლიის პორტთან დაკავშირებით საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა. როგორც ელიზაბეთ რუდმა აღნიშნა, აშშ-ს კვლავ სჯერა, რომ ანაკლიის პორტის განვითარება საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია.

**„ანაკლიის პორტი აძლიერებს საქართველოს, როგორც სავაჭრო-სატრანსპორტო ჰაბის პოტენციალის გამოყენებას. გვჯერა, რომ ეს პროექტი უნდა შესრულდეს ამერიკული ინვესტიციით, რადგან მას შეუძლია იყოს ეკონომიკის სფეროში საქართველოსა და აშშ-ის შორის ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი ნაწილი“,** – განაცხადა ელიზაბეთ რუდმა. ამერიკული „კონტი ჯგუფი“ ანაკლიის პორტის პროექტიდან გავიდა.

## შემოვლითი გზა ბაკურიანში

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბაკურიანის შემოვლითი გზის პროექტირება/მშენებლობას ახორციელებს. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება ექვს მილიონ ლარს სცდება.**

მათივე ინფორმაციით, უკვე დასრულდა სამკილომეტრიანი გზის მშენებლობა და მიმდინარეობს ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. როგორც უწყებაში აცხადებენ, შემოვლითი გზის არარსებობის გამო, ბაკურიანში ხშირი იყო საცობები, რაც ტურისტების და ადგილობრივი მოსახლეობის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უშლიდა ხელს. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი ეს პრობლემა სრულად მოგვარდება. მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი შენგელია სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთან ბესიკ ამირანაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო. გარდა შემოვლითი გზის მშენებლობისა, მუნიციპალური განვითარების ფონდი ბაკურიანში არაერთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა, მიტარბისა და კოხტას საბაგირომდე მისასვლელი სამ კილომეტრამდე გზისა და დიდველზე ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები, შემოვლით გზასთან მრავალსართულიანი ავტოსადგომის მოწყობა, ცენტრალური ბილიკისა და გზის მოწყობის სამუშაოები, ურბანული განახლებისა და რეკრეაციულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი. ჯამში მუნიციპალური განვითარების ფონდი ბაკურიანში 55 მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს.

## თბილისს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სუფთა წყალი მიეწოდება

**კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საათობრივად ამოწმებს წყალს და დედაქალაქს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სუფთა წყალი მიეწოდება,** – ამის შესახებ თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრმა ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ლევან ხაბეიშვილის განცხადებას გამოეხმაურა.

საკრებულოს უმრავლესობაში სიცრუე უწოდეს ხაბეიშვილის განცხადებას, რომ თბილისის ზღვაში ფეკალიები ჩაედინება და შესაძლოა, თბილისს დაბინძურებული სასმელი წყალი მიეწოდებოდეს.

**„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საათობრივად ამოწმებს წყლის ხარისხს, რომელსაც ის თბილისს აწვდის. შესაბამისად, თბილისს მიეწოდება სუფთა წყალი იმ სტანდარტების შესაბამისი, რომელიც დადგენილია საერთაშორისო ნორმებით. ამიტომ ყველანაირი საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის ზღვაში ჩაედინება ფეკალიები და თბილისელები ვსვამთ მოწამლულ წყალს, არის კიდევ ერთი სიცრუე და შესაძლებლობა ხაბეიშვილისთვის, თემა ააგოროს“,** – განაცხადა ჟორჟოლიანმა.

## აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებული გამოწვევა დიდწილად დაძლეულია

**ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომელიც პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფება.**

დავითაშვილმა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის კუთხით გაწეული სამუშაოები თხილის საწარმო „ჯეონათსში“ შეაჯამა.

**„2016 წლიდან რეალურ პრობლემას უკავშირდებოდა აზიური ფაროსანა საქართველოში. ეს იყო წელი, როდესაც პირველად დაფიქსირდა მეცნიერების მიერ აზიური ფაროსანას მავნებლობა საქართველოს დასავლეთ რეგიონებში, ძირითადად, ეს იყო პირველ რიგში სამეგრელოს რეგიონი და სიმბოლურიც არის, როდესაც გარკვეული შედეგების შეჯამებაზე ვსაუბრობთ და პრეზენტაცია გვაქვს სამეგრელოს რეგიონში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. 2016 წლიდან მოყოლებული ჩვენი პარტნიორები, ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად ეხმარებოდა გარემოს დაცვის სამინისტროს, იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ სწორად დაგვეგეგმა ბრძოლის ღონისძიებები. ეს იყო აბსოლუტურად ახალი მავნებელი, რომელსაც ბუნებრივ გარემოში არ ჰყავდა მტერი და მის მოქმედებას ვერაფერი აჩერებდა. შესაბამისად, პირველი წელი იყო საკმაოდ მძიმე. საკმაოდ მძიმე იყო 2017 წელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის მასშტაბური ღონისძიებები ამერიკელ პარტნიორებთან ერთად დავგეგმეთ. გვქონდა მხოლოდ 17 ერთეული სპეციალური ტექნიკა“,** – განაცხადა დავითაშვილმა.

## ვაკის რაიონში დასასვენებელი სივრცეების მოწყობა გრძელდება

**ვაკის რაიონში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა გრძელდება. გურიელის №5-ის ტერიტორიაზე სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება.**

პროექტის თანახმად, აღნიშნულ მისამართზე დამონტაჟდა დასასვენებელი პავილიონი, საპარკე სკამები და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მოეწყო

საბავშვო მოედანი, საფეხმავლო ბილიკები. ამჟამად კი, საბავშვო მოედანზე რბილი საფარი იგება. პროექტის ბოლო ეტაპზე, ტერიტორია გამწვანდება. გარდა ამისა, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო მოსაშვილის №9-ში, სადაც ასევე, დასასვენებელი სივრცე მოეწყობა. ეზოში სხვა ინფრასტრუქტურასთან ერთად, ბავშვთა გასართობი მოედანი განთავსდება. პროექტის ბოლოს ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოები ჩატარდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე გაეცნო და პროექტების დეტალები ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეათანხმა.

## „მომავლის ბანაკი“ სოფელ წყემში

**მარტვილისა** და **აბაშის** **მაჟორიტარი** **დეპუტატი** **ოთარ** **დანელია** **და** **აბაშის** **მუნიციპალიტეტის** **მერი** **ლევან** **მაკალათია** **წყემის** **ადმინისტრაციულ** **ერთეულში,** **პროგრამა** **„მომავლის** **ბანაკის“** **განხორციელებისთვის** **საჭირო** **ინფრასტრუქტურის** **მოწყობის** **სამუშაოების** **მიმდინარეობას** **გაეცნენ.**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, წყემში, პროგრამა „მომავლის ბანაკი“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელდება, რომელშიც 400-მდე ახალგაზრდა დაისვენებს. პროგრამის მიზანია მოზარდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სპორტულ-კულტურული გარემოს შექმნა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

## რთველი-2019 „გამარტივდება“...

**2019 წლის** **რთვლის** **დროს** **„ქინძმარაულის“,** **„ახაშენის“,** **„ყვარლის“** **და** **„მუკუზანის“** **მიკროზონების** **ყურძნის** **ჩაბარება** **მხოლოდ** **ვენახების** **კადასტრის** **ამონაწერის** **საფუძველზე** **იქნება** **შესაძლებელი,** – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

კადასტრის ამონაწერის დასამოწმებლად, მევენახემ მუნიციპალიტეტების სოფლებში არსებულ შესაბამის სამსახურებს 2019 წლის პირველ სექტემბრამდე უნდა მიმართოს, რომლებიც განთავსებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში ყვარელსა და გურჯაანში, ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლების საკრებულოებში: ველისციხე, კალაური, ვაჩნაძიანი, ჩუმლაყი, ვაზისუბანი, ახაშენი, მუკუზანი და შაშიანი. ასევე, შექმნილია კადასტრის მობილური ჯგუფი, რომელიც გადაადგილდება გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტების სოფლებში. ამასთან, აღნიშნული მიკროზონებიდან ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობა განსაზღვრულია: ერთი ჰექტრიდან არაუმეტეს 10 ტონა. 10 ტონაზე მეტი რაოდენობის ჩასაბარებელი ყურძენი, შეფასდება როგორც ჯიშური ღვინის მასალა. ამონაწერი უფასოდ გაიცემა. ღვინის ეროვნული სააგენტო განმარტავს, რომ საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნა ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ხარისხისა და კონკურენტიანობის გაზრდას მსოფლიო ღვინის ბაზარზე, უზრუნველყოფს რთვლის პროცესის გამარტივებასა და გამჭვირვალედ ჩატარებას.

◎ ᲒᲐᲨᲔᲨᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲐ

## „სებ“-მა მიმოქცევაში გაუშვა 1.2 მილიარდი ლარი და ეს გახლავთ ლარის კურსის ვარდნის ძირითადი მიზეზი“

**მთავრობა** ლარის გამყარებას ელოდება, თუმცა ჯერჯერობით ეროვნული ვალუტა ერთ ადგილას არის გაშეშებული. მართალია, გაუფასურების მოლოდინი მოიხსნა, მაგრამ ლარი პოზიციებს მაინც ვერ იუმჯობესებს. ფინანსისტების შეფასებით ამის მიზეზი არანორმალურად გაზრდილი რეფინანსირების სესხებია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** გაცვლით კურსთან დაკავშირებით საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი ამტკიცებს, რომ ნეგატიური ფონი მალე მოიხსნება.

**„ეკონომიკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ყველა წამყვანი ფაქტორი პოზიტიურია, ექსპორტი არის საკმაოდ მაღალ დონეზე, ძალიან კარგი დინამიკაა სავაჭრო დეფიციტის შემცირების თვალსაზრისითაც, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არის ოპტიმიზმი ლარის კურსთან დაკავშირებით“,** — განაცხადა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, კომერციული ბანკების ანალიზის შედეგად, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და ეროვნული ბანკის ანალიზითაც დასტურდება, რომ საქმე გვქონდა ლარის ზედმეტ გაუფასურებასთან.

# რამდენად აქვს პრემიერის ოპტიმიზმს საფუძველი?!

**„ჩვენ გვაქვს ყველა მოლოდინი იმისთვის, რომ ვისაუბროთ, ლარის კურსი დასტაბილურდება და ეს ნეგატიური ფონი მოიხსნება“,** — აღნიშნა პრემიერმა.

რამდენად აქვს პრემიერის ოპტიმიზმს საფუძველი? ანალიტიკოსები არსებულ ვითარებას სულ სხვა ჭრილში უყურებენ, ვიდრე ხელისუფლების წარმომადგენლები. მათი აზრით, დევალვაციის მთავარი გამომწვევი მიზეზი არა ტურისტული ნაკადის შემცირებაა, არამედ მკვეთრად გაზრდილი რეფინანსირების სესხები.

დღემდე ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ლარის კურსის ვარდნა გამოწვეულია ტურისტების რაოდენობის შემცირებით. თუმცა, უკვე გამოქვეყნდა ოფიციალური მონაცემები, რომლებიც აჩვენებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსი ტურისტების რაოდენობა მცირედით შემცირდა რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, მთლიანობაში ტურისტების რაოდენობამ 7 თვეში არათუ დაიკლო, არამედ გაიზარდა კიდეც. გარდა ამისა იმატა ამ სფეროს შემოსავლებმაც. აქედან გამომდინარე, ფინანსისტი **თემურ ბასილია** ამბობს, რომ ტურიზმის სფეროს არ ჰქონია რაიმე გავლენა ლარის კურსის ვარდნაზე.

**„რამდენჯერმე მოვისმინე, რომ თითქოს ლარის გაუფასურების უმთავრესი მიზეზი მოლოდინი ყოფილიყოს. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამოცხადების შემდეგ, ასეთი მოლოდინი ნამდვილად შეიქმნა, რამაც გავლენა იქონია ლარის კურსზე, მაგრამ ტურიზმის სფეროს ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, რომლებიც ადასტურებს ტურისტების რაოდენობის და ამ სფეროში შემოსავლების ზრდას, ბუნებრივია, უარყოფით მოლოდინებს არავითარი საფუძველი აღარ აქვს“,** — აცხადებს ბასილია და დასძენს, ლარის ვარდნის გამომწვევი რეალურ მიზეზებში გასარკვევად ცოტა ღრმად უნდა ჩავიხედოთ პრობლემაში.

**„ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია საბანკო სფეროში არსებულ ფუნდამენტურ პრობლემებზე, ახლა კი მხოლოდ ერთ ფაქტზე შევაჩერებ ყურადღებას — ეს გახლავთ რეფინანსირების სესხები.**

**მიმდინარე წლის 28 თებერვალს, ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკებისთვის მიცემული ჰქონდა 270 მილიონი ლარის რეფინანსირების სესხი. ამის შემდეგ, ამ სესხების ოდენობა მუდმივად იზრდებოდა. კერძოდ, აპრილში იგი გაიზარდა 420 მილიონამდე, მაისში 600 მილიონამდე, ივნისში 850 მილიონამდე, ივლისში 1.23 მილიარდამდე, ხოლო აგვისტოში, რეფინანსირების სესხების ოდენობამ 1.45 მილიარდ ლარს მიაღწია. როგორც ვხედავთ, თებერვლიდან აგვისტომდე ეროვნულმა ბანკმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიმოქცევაში დამატებით გაუშვა 1.2 მილიარდი ლარი. ეს გახლავთ ლარის კურსის ვარდნის ძირითადი მიზეზი“,** — აღნიშნა „კომერსანტთან“ საუბრისას ბასილიამ.

**ᲒᲔᲫᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

## ზესტაფონში ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებულნი გაიფიცნენ

**150-მდე მუშა ხელფასის გაზრდას მოითხოვს, ისინი ასევე არასათანადო სამუშაო პირობებს აპროტესტებენ. მათი თქმით, ჩინური კომპანია, რომელიც ავტობანის მშენებლობას ახორციელებს, თანამშრომლებს ზეგანაკვეთური სამუშაოებისთვის თანხას არ უხდის. აქციის მონაწილეების განცხადებით, პროტესტი არ შეწყდება, ვიდრე მათი მთავარი მოთხონა არ შესრულდება.**

ავტობანის მშენებლობაზე სამუშაოებს ჩინეთის გვირაბების და ხიდების კომპანია ასრულებს. კომპანიამ სამუშაოები 2019 წელს დაიწყო. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, მუშების მოთხოვნები გასაცნობად კომპანიის ხელმძღვანელობას გადაეგზავნა და პასუხს გაფიცულებს აცნობებენ.

## ტურიზმიდან შემოსავალი შემცირდა!

**ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ** ბანკის მიერ გამოქვეყნებული მიმდინარე მაკროეკონომიკური მიმოხილვის მონაცემით, მიმდინარე წლის ივლისში ტურიზმიდან შემოსავალი წინა წლის ივლისთან შედარებით 13,3 პროცენტით შემცირდა. დოკუმენტში მითითებულია, რომ გასულ თვეში ტურიზმიდან შემოსავალი 374,7 მილიონი დოლარი იყო, 2018 წლის ივლისში კი ეს მაჩვენებელი 432,5 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ამასთან, მიმდინარე წლის ივლისში ივნისთან შედარებით ტურიზმის შემოსავალი დაახლოებით 35 მილიონი დოლარით იყო გაზრდილი.

## ქობულეთში მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეებმა აქცია გამართეს

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** აქციის მონაწილეები ამბობენ, ქობულეთში ტურისტული სეზონი ჩავარდა, რის გამოც მცირე და საშუალო მეწარმეები აღმოჩნდნენ მძიმე მდგომარეობაში, კომერციული ბანკებისგან აღებული სეზონური სესხების გადახდას ვერ მოახერხებენ.

აქციის მონაწილეები სახელმწიფოსგან დახმარებას, კონკრეტულად კი ვალების რესტრუქტურიზაციას, ან პროცენტების სუბსიდირებას მოითხოვენ.

**„სეზონი ჩავარდა, გაუქმდა ჯავშანი, ზოგს 80 ათასი ლარის ჯავშანი გაუუქმდა, 20 აგვისტოდან უნდა დავიწყოთ ვალების გადახდა, რითი გადავიხდით, როცა შემოსავალი არ არის, ჩამოდიან ტურისტები, რომლებიც 2-3 დღეს ჩერდებიან, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს დანაპირები და რაღაცით დაგვეხმაროს“,** — ამბობენ აქციის მონაწილეები.

აქციაზე ქობულეთის მერი მივიდა. მირიან ქათამაძე ამბობს, რომ პრობლემის გადასაჭრელად მუშაობა დაწყებულია.

**„ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მუშაობს, რომ პრობლემა შეუმსუბუქდეთ მეწარმეებს. განიხილება საბანკო სესხების პროცენტების სუბსიდირების საკითხი, მაგრამ ეს რთული პროცესია, საჭიროა კონკრეტული კრიტერიუმების შემუშავება, უახლოეს პერიოდში ეს ყველაფერი დაზუსტდება და მოსახლეობა მიიღებს შესაბამის მხარდაჭერას“,** — განაცხადა მირიან ქათამაძემ.

## ბაგა-ბაღის შენობაში აფხაზეთიდან დევნილები შეიჭრნენ

**ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ** სალოსის ქუჩაზე მდებარე 109-ე ბაგა-ბაღის შენობაში აფხაზეთიდან დევნილები და მოქალაქეების ჯგუფი შეიჭრნენ.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შენობაში შეჭრილები მათთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემას მოითხოვენ.

სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, შენობის ტერიტორია უკანონოდ ოთხი დევნილის სტატუსის მქონე ადამიანმა დაიკავა, დანარჩენი ხუთი მოქალაქის სტატუსის შესახებ კი ინფორმაციის მოძიებას ცდილობენ. ადგილზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ბესო შენგელია იმყოფებოდა. მისი თქმით, მართალია, ბაღის ტერიტორიაზე შეჭრა კანონით დაუშვებელია, თუმცა სახელმწიფომ მოსახლეობას სხვა გზა არ დაუტოვა. 109-ე ბაღი არის ავარიული. როგორც თბილისის საბავშო ბაგა-ბაღების საგენტოში განაცხადეს, აღნიშნული ბაღის შენობის ავარიულობის შესახებ არსებობს სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც ბავშვები გამოიყვანეს ამ ბაღიდან და გადაიყვანეს „დირსის“ კომპლექსში, ნაქირავებ ფართში.

**დაუმძიმდება** თუ არა ბრალი **ნიკა გვარამიას**, რომელსაც „რუსთავი-2“-ის არქივის უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებს **პაატა სალია**, ეს გვარამიასთვის მეორეხარისხოვანია. გვარამია აცხადებს, რომ მის დროს „რუსთავი-2“ მუშაობდა, პაატა სალიას პერიოდში კი „რუსთავი-2“ დაიხურა. ამდენად, ნიკა გვარამიას თქმით, სალია ისტორიაში შევა, როგორც „რუსთავი-2“-ის ჯალათი, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლა, ანუ 25-წლიანი ისტორიის მქონე „რუსთავი-2“-ის დასრულების ეპოქა მოიყვანა.

ანალიტიკოს **რამაზ საყვარელიძეს** არ უკვირს, **ქიბარ ხალვაშს** სულაც არ ეხალისებოდეს 70-მილიონიანი დავალიანების მქონე ტელევიზიის საკუთარ ზურგზე წამოკიდება, რადგან ხალვაშს აკვიატებები ტელევიზიებთან მიმართებით არ აქვს.

**რამაზ საყვარელიძე** დღეს ჩვენი სტუმარია.

# „მაყურებელს უნდა მიუკერძოებელი და არა ოპოზიციური, დესტრუქციული ტელევიზია“

**— ქიბარ ხალვაში 70-მილიონიანი დავალიანების მქონე ტელევიზიის გაყიდვას აპირებს. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, თუ ბიზნესმენის ალღო, რომ უნდა მოიშოროს ის, რაც წამგებიანია?**

— პოლიტიკური გავლენები ყოველთვის ფარულია ხოლმე, ამიტომ ასეთ ფარულ ფაქტორზე ლაპარაკი შეიძლება მას მერე, რაც ზედაპირზე მყოფი ფაქტორები ვერ ხსნიან მოვლენას. ალბათ, გასაკვირი არ არის, რატომ უნდა 70-მილიონიანი ვალით საქონლის (ანუ „რუსთავი-2“-ის) გაყიდვა ქიბარ ხალვაშს. მე მგონი, არაა გასაკვირი, ადამიანს არ ეხალისებოდეს ამხელა ტვირთის საკუთარ ზურგზე წამოკიდება. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ხალვაშის გადაწყვეტილებაში უთუოდ პოლიტიკური მოტივი იმალება.

თავის დროზეც, როდესაც ლაპარაკი იყო ამ ტელევიზიის დაბრუნებაზე, არავის არ უმხელდნენ, როგორი იყო „რუსთავი-2“-ის ფინანსური მდგომარეობა. ეს ფინანსური საიდუმლო იყო. ცხადია, ვერც ხალვაში ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა „რუსთავი-2“-ის თავს, სანამ არ მიისაკუთრებდა ამ ტელეკომპანიას.

**— ინფორმაცია „რუსთავი-2“-ის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მართალია, დახურული იყო, მაგრამ, ზოგადად, ისედაც ყველამ იცოდა, მათ შორის, სახელმწიფომაც, რომ დიდი დავალიანებები ჰქონდა „რუსთავი-2“-ს. მაინცდამაინც ახლა აღმოაჩინეს ამ ვალების შესახებ ზუსტი ინფორმაცია?**

— აქ მნიშვნელობა აქვს იმას, 5 ათასია დავალიანება, 5 მილიონი, თუ 50 მილიონი. შეიძლება, ახალი მფლობელები არ ვარაუდობდნენ ამ თანხის სიმრავლეს, რადგან ფაქტია, მათთვის ისიც მოულოდნელი იყო, რომ „რუსთავი-2“-ში მისულებს ხელფასების გაცემა გაუჭირდებოდათ, იმდენად დაცლილი იყო ფინანსური რესურსებისგან ეს ტელევიზია. ასე რომ, ახლა ამ ტელევიზიის შეძენა გულისხმობს მთელი მიმდინარე დაფინანსებისა და არსებული ვალების საკუთარ კისერზე აღებას. ქიბარ ხალვაში ტელევიზიის ისეთი თავგადაკლული მოყვარული რომ იყოს, რომ მისთვის ყველაფერი სულ ერთია, ოღონდ ტელევიზია ჰქონდეს, ალბათ, მაშინაც გასაკვირი იქნებოდა „რუსთავი-2“-ით მისი დაინტერესება. მით უმეტეს, თუ ასეთი აკვიატება არ აქვს და ნათქვამიც აქვს, ოდესმე შეიძლება გავყიდო კიდეც „რუსთავი-2“-იო, მაშინ არაა გასაკვირი ის გადაწყვეტილება, რომელიც მოუმწიფდა ხალვაშს ამ დავალიანებების შემყურე.

აქ პოლიტიკური მოტივი ჩემთვის ძნელი დასანახია, თუმცა იმ პოლიტიკურ წრეებს, რომლებისთვისაც „რუსთავი-2“ დისკომფორტის მომტანი იყო (ვგულისხმობ ხელისუფლებას), რა თქმა უნდა, არ ეწყინებათ, რომ ეს ტელევიზია სირთულეებს აწყდება. სხვათა შორის, ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილება, რომ მან შეიძლება გაყიდოს ეს ტელევიზია, პოლიტიკურ სირთულეებს უქმნის ამა თუ იმ წრეებს, თუნდაც იმავე „ქართულ ოცნებას“, რადგან შეიძლება, ეს ტელევიზია ისეთმა ადამიანმა იყიდოს, რომელიც, ერთი შეხედვით, არ იყოს „ნაციონალი“, მაგრამ მერე აღმოჩნდეს, რომ მისი პატრონობის ქვეშ „ნაციონალების“ ინტერესები ისევ გატარდება. ეს „ოცნებისთვის“ მოულოდნელი იქნება. ამიტომ ქიბარ ხალვაშის გადაწყვეტილებაში მმართველი პარტიისთვისაც დევს პოლიტიკური სირთულეები.

**— არასამთავრობოებს მოლოდინი აქვთ, რომ მმართველი გუნდი, ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი არ დაუშვებს, „რუსთავი-2“ შეიძინოს „ნაციონალმა“. ისინი არ გამორიცხავენ, ბიძინას ფულით, ოღონდ სხვა ადამიანის ნიღბით მოხდეს ამ ტელევიზიის შეძენა. თუმცა არის სხვა მოსაზრებაც, რომ ქიბარ ხალვაშის ნათქვამი „რუსთავი-2“-ის გაყიდვის შესახებ ფანდია, არავინ მოინდომებს 70-მილიონიანი დავალიანების მქონე ტელევიზიის შეძენას, უბრალოდ, გააკოტრებენ „რუსთავი-2“-ს და დახურავენ.**

— ვერსია, რომ შეიძლება ეს ტელევიზია გაკოტრების გზას დაადგეს, მეც უფრო დამაჯერებლად მეჩვენება, ოღონდ, მე მგონი, გვარამია ცოტა ტენდენციურად აშუქებს მიზეზებს. ის ხომ არ ამბობს, ვალი არ ჰქონდა ტელევიზიასო?

**— გვარამია ამბობს, რომ 70 მილიონიდან 30 მილიონი მას დახვდა ე.წ. დაკიდებული ვალების სახით.**

— ვალი ვალია და პაატა სალიასი არ იყოს, თუ ვალები დაგხვდა კომპანიაში, მაშინ იქ უნდა შეიყვანო აუდიტი და არ უნდა გადაიტანო ის ვალი. იქნებ, თვითონ გვარამიამ და „ნაცმოძრაობამ“, თუ შეიძლება ითქვას, გაუთხარეს საფლავი „რუსთავი-2“-ს, რადგან მმართველს რომ მრავალჯერ შეიცვლის, ის კომპანია ცუდად აღიქმება საზოგადოების თვალში. ქალი, რომელიც მრავალ ქმარს იცვლის, ხომ უკვე ცუდი თვალით აღიქმება ზოგიერთ საზოგადოებაში? ახლა როგორ აღიქმება „რუსთავი-2“, რომელმაც ამდენი პატრონი შეიცვალა?! არამც და არამც როგორც ჭეშმარიტებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ტელევიზია!

**— სხვათა შორის, ია კიწმარიშვილიც აპირებს ბრძოლის წამოწყებას. ის ეროსის 30%-იან წილს ითხოვს და ამტკიცებს, რომ თვითსააკაშვილის სასამართლომაც დაადგინა, რომ ქიბარს და მის კომპანია „პანორამას“ 30%-იანი წილის თანხა ეროსისთვის გადახდილი არ აქვთ და ეროსის კომპანიის წილები იძულებით დაათმობინეს. ძველი მფლობელების გაცოცხლება და ამდენი მოთამაშის ჩართვა რამდენად გაართულებს „რუსთავი-2“-ის საქმეს?**

— გააჩნია. თუკი ია კიწმარიშვილი სტრასბურგს მიმართავს და სტრასბურგი ისევ გამოიტანს გადაწყვეტილებას, შეჩერდეს ყველა ოპერაცია „რუსთავი-2“-თან მიმართებითო, მაშინ გაჩერდება ყველა ოპერაცია, მაგრამ მეეჭვება, სტრასბურგმა ეს ხელმეორედ გააკეთოს. ახლა უკვე ცხადი ხდება, რომ „რუსთავი-2“-ის მფლობელთა რიცხვი შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს და ამ საქმემ კომიკური სახე მიიღოს. ამიტომ მეეჭვება, სტრასბურგი „რუსთავი-2“-ის მფლობელობის საკითხს დაუბრუნდეს. ეს საკითხი მისთვის, ავად თუ კარგად, ალბათ, მოთავებულია.

**— სტრასბურგში საკითხი მოთავებულია, მაგრამ ხომ არ მოელით, ნიკა გვარამიას ბრალი დაუმძიმდეს, რადგან ამჯერად მას „რუსთავი-2“-ის არქივის უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებს პაატა სალია და აცხადებს, რომ გვარამია მეორე მხარის სასარგებლოდ აფორმებდა კონტრაქტებს და მიზანმიმართულად აკოტრებდა კომპანიას.**

— არ ვიცი, რა მოხდება მომავალში, მაგრამ ნიკა გვარამია ჩემზე არ ტოვებს მთლად უმწიკვლო ადამიანის შთაბეჭდილებას. მოხარული ვიქნები, თუ ვცდები, მაგრამ თუნდაც იმისთვის, რომ ხელისუფლება დაედანაშაულებინათ „რუსთავი-2“-ის საქმეში, შეიძლება, გვარამია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, წასულიყო „რუსთავი-2“-ის გაკოტრება-დანგრევაზე, პრინციპით, თუ ჩემი არ იქნა, ნურავისი ნუ ყოფილა! შეიძლება, მას ჰქონდა კოლხი მედეას ტიპის ტრაგიკული შემართება, საკუთარ შვილებს რომ დახოცავს, რათა არ დარჩეს მტრის ხელშიო. მე ახლა ძალიან ვაკეთილშობილებ სურათს, მაგრამ ამ შემართებაში გვარამიამ ხელიც რომ მოითბო, ესეც ფაქტია.

**— თუკი „რუსთავი-2“ არ დაიხურება და, ზაალ უდუმაშვილის თქმის არ იყოს, მის ადგილას კორპუსები არ აშენდება, მაშინ პოლიტიკურად შეიცვლება ამ არხის „ნიუსრუმი“, თუ ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას შეინარჩუნებს? როგორც ამბობენ, „რუსთავი-2“ მიშას დროს იყო პროპაგანდის მანქანა, მაგრამ მიშას შემდგომ პერიოდში ეს ტელევიზია უკვე მედიაგარემოსთვის აუცილებელ ოპოზიციურ ნიშას იკავებდა.**

— „რუსთავი-2“ არ ყოფილა დამოუკიდებელი პოლიტიკის მქონე. აუცილებელი არ არის მედიაგარემოში ოპოზიციური ნიშის დაკავება, უბრალოდ, აუცილებელია, იყოს კრიტიკული მედია და ეს ოპოზიციონერობას სულაც არ ნიშნავს. კრიტიკული შეიძლება იყო ხელისუფლების მიმართაც, ოპოზიციის მიმართაც. თუკი ასე არ მოიქცევი, უკვე პოლიტიკურ მედიას წარმოადგენ. პარტიული მედია ჩვენს საზოგადოებას სჭირდება? მაშინ 70 წელი კომუნისტებს რას ერჩოდნენ, მათ ხომ პარტიული მედია ჰქონდათ? სიმართლე არც კომუნისტებიდან ისმოდა და არც „რუსთავი-2“-იდან. მე ახლა ჩემს აზრს კი არა, მაყურებლის აზრს მოგახსენებთ, რომელსაც „რუსთავი-2“-ის მიმართ დაბალი ნდობის ხარისხი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, **შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართველი მაყურებელი შესაძლოა, უფრო მეტად დემოკრატია, ვიდრე დემოკრატისთვის მებრძოლი ბევრი სუბიექტი საქართველოში იმიტომ, რომ ქართველ მაყურებელს უნდა ობიექტური და არა ოპოზიციური ტელევიზია.**

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს მიმართავენ

**ადვოკატი** გიორგი ფანცულაია დეკანოზ გიორგი მამალაძის შეწყალების თხოვნით პრეზიდენტს მიმართავს.

როგორც დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ განაცხადა, შეწყალების განახლების მოთხოვნის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმეა.

**„პირველი შემთხვევაა, როდესაც სალომე ზურაბიშვილს მივმართავთ შეწყალების შუამდგომლობით, მანამდე მივმართეთ გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც უარი გვითხრა შეწყალებაზე. შეწყალების განახლების მოთხოვნის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ უკიდურესად მძიმეა. ექვს თვეზე მეტია, რაც მარჯვენა კიდურები გაჩერებული აქვს, ხელს და ფეხს ვერ ამოძრავებს. მას დამოუკიდებლად ეტლითაც კი არ შეუძლია გადაადგილება. აქედან გამომდინარე, სამედიცინო პერსონალისა და პროფესიონალების კონსულტაციის შემდგომ რჩევა და მითითება იყო, რომ შეუძლებელია მისი სრულყოფილი გამოჯანმრთელება პატიმრობაში ყოფნის პირობებში, რადგან მრავალმხრივი მკურნალობა სჭირდება. პატიმრობაში ყოფნის შემთხვევაში ელემენტარული პირობებიც კი არ არის, რომ მას ხელი და ფეხი აუმუშავდეს. ჩვენ მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, რათა შეიწყალოს გიორგი მამალაძე, ასევე მივმართავთ საქართველოს საპატრიარქოს და მის წინამძღოლს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, რათა იშუამდგომლოს საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომ გიორგი მამალაძის შეწყალება მოხდეს. ჩვენ შევიტანეთ შეწყალების შუამდგომლობა პრეზიდენტის სახელზე და აქედან პირდაპირ მივდივართ საპატრიარქოში, რათა ასევე შევიტანოთ შეწყალების შუამდგომლობა საქართველოს საპატრიარქოში“,** — განაცხადა ადვოკატმა.

◎ პრეზიდენტის დაცემა

# როდესაც „ყოფილს“ არ სურს „ყოფილობა“

**ყირგიზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოში ვიზიტისას თავი დაგვამახსოვრა არადიპლომატიური საქციელით, როდესაც მან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების „გარჩევა“ დაიწყო. არ არის გასაკვირი, რომ ასეთმა პრეზიდენტმა ზიანი მიაყენა თავის ქვეყანას არა მხოლოდ დიპლომატიაში, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც. 2017 წელს ატამბაევი თითქოს ჩამოშორდა პოლიტიკურ სცენას, მაგრამ სწორედაც რომ „თითქოს“.**

ამ დღეებში ყირგიზეთი მოულოდნელად შეიარაღებული პოლიტიკური კრიზისის ზღვარზე აღმოჩნდა. ამის პროვოცირება სწორედ ატამბაევმა მოახდინა. ვითარება იმდენად სერიოზულია, რომ ქვეყნის პარლამენტი განიხილავს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღებას, შეშინებული მოქალაქეები ახალი რევოლუციის მოლოდინში იმარაგებენ პროდუქტებს, მედიკამენტებსა და საწვავ-სათბობ მასალებს.

„სპეცნაზი“, სროლები, სითბურ-ბგერითი ნაღმები და ძალისმიერი შტურმი... ბოლო დღეების მოვლენები დედაქალაქ ბიშკეკის შემოგარენში განსაკუთრებით საშიში დამნაშავის დაკავების სპეცოპერაციას ჰგავდა. მაგრამ სხვაობა ის იყო, რომ ჯგუფი „ალფას“ მებრძოლები ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატამბაევის დაჭერას ცდილობდნენ, რომელსაც ბრალი ედება მთელ რიგ მძიმე დანაშაულებში. თავად ატამბაევი უარყოფს ბრალდებებს. მაგრამ შტურმის დროს იგი ისე მოიქცა, როგორც დამნაშავეები იქცევიან ხოლმე. ატამბაევი სამართალდამცავების მიერ დაბარებული იყო, როგორც მოწმე, მაგრამ მან სპეციალური დანიშნულების რაზმს რეზინის ტყვიების გამოყენებაზე ნამდვილი ტყვიებით უპასუხა, რამდენიმე ჯარისკაცი ტყვედაც კი აიყვანა, ორი დღე თავდაცვით ოპერაციებს აწარმოებდა — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ატამბაევის სინდისი სუფთა არ არის.

აშკარაა, რომ ატამბაევი და მისი მომხრეები შტურმისთვის საფუძვლიანად იყვნენ მომზადებულნი. მაგალითად, მათ მოახდინეს რეზიდენციის ბლოკირება დახერხილი ხეებით და ცეცხლსასროლი იარაღი მოიმარაგეს. ატამბაევი მანამდე არ მალავდა და ამბობდა, რომ იგი „მზად არის სროლისათვის“. მან თავისი ეს დაპირება შტურმის დროს შეასრულა კიდეც. შემდეგ, მართალია, ცდილობდა თავის მართლებას, რომ მისი ბრძანებით მხოლოდ სპეცრაზმელებს ესროდნენ და ცდილობდნენ, „ადამიანებისთვის“ არ მოერტყათ. რაოდენ დიდი „კეთილშობილებაა“!

ატამბაევის რეზიდენციის პირველი შტურმის სავალალო შედეგი გახდა ერთი სპეცრაზმელის დაღუპვა. ჯამში 79 ადამიანი დაშავდა. „ალფას“ მებრძოლებს კიდევ ორი მცდელობა დასჭირდათ, რათა ექსპრეზიდენტი დაეკავებინათ. მასთან ერთად აიყვანეს მისი მრჩეველი და ასევე მისადმი დაქვემდებარებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე. ამით ისტორია არ დამთავრებულა. ატამბაევის მომხრეები, რომლებსაც მან მრავალი დაპირება მისცა და თითქმის ექსტრემისტული ლოზუნგებით „დაამუშავა“, ბიშკეკში გამოსვლებს აწყობენ.

მაგრამ სანამ იმის გაანალიზება მოხდება, თუ რით შეიძლება, ყოველივე ეს დასრულდეს, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რით დაიწყო და რამ გამოიწვია დღევანდელი ვითარება...

**2017 წელს ატამბაევმა ქვეყანაში ძალაუფლება, ფაქტობრივად, თავის ნდობით აღჭურვილ პირს, მემკვიდრეს, გადაულოცა. აშკარაა, რომ მაშინ მიღწეულ იქნა რაღაც შეთანხმებები ატამბაევის „იმუნიტეტის“ თაობაზე. ეს ასე შესრულდა კიდეც, ატამბაევმა მიიღო ხელშეუხებლობა. მაგრამ როდესაც მის საპრეზიდენტო წარსულში სპეციალურმა სადეპუტატო კომისიამ ჩაიხედა, გაირკვა, რომ ყირგიზეთის ექსპრეზიდენტმა იმდენი რამ ჩაიდინა, რასაც არც ერთი იმუნიტეტი არ შველის. საუბარი, არსებითად, მიდის უკანონო გამდიდრებაზე, კორუფციაზე, მიწის ნაკვეთის უკანონო მიღებაზე, კრიმინალური ავტორიტეტის ასევე უკანონო გათავისუფლებაზე... დატაცების ფაქტები იმდენად აშკარაა ატამბაევის პორტფოლიოში, რომ მათი დაუსჯელად დატოვება ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შეუძლებლად მიიჩნია. ყოველ შემთხვევაში, ხელშეუხებლობის ჩამორთმევისათვის ეს დანაშაულები საკმარისი აღმოჩნდა.**

იგრძნო რა, რომ ვითარება კარგს არაფერს უქადის, ატამბაევმა გადაწყვიტა, საჭადრაკო მხედრისებრი ნახტომის გაკეთება. კერძოდ, ყირგიზეთის პრეზიდენტი მიდის კრემლში და ვლადიმერ პუტინთან ახალ პრეზიდენტს სოორონბაი ჟეენბეკოვს ასმენს. რა თქმა უნდა, უპრეცედენტო შემთხვევაა. პუტინი დიპლომატიურად პასუხობს, რომ ყირგიზეთმა უკვე საკმარისზე მეტი სახელმწიფო გადატრიალება განიცადა. ატამბაევი ფიქრობს, რომ ცოდვები მიეტევება, მიიღო ინდულგენცია და უსაფრთხოება. მისი აზრთა მსვლელობა დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: „ვერავინ გაბედავს ყირგიზეთში მის დაჭერას, ვისაც კრემლში იღებენ!“

მოსკოვში ვიზიტს მართლაც შეეძლო ყირგიზეთს შიგნით ესკალაციის დაცხრობა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ ატამბაევი თავად წავიდა კონფლიქტის გამძაფრებაზე და თავის ქმედებებში აბსოლუტურად არაადეკვატური გახდა. მან წინააღმდეგობა გაუწია ხელისუფლებას და ერთი სპეცრაზმელის სიცოცხლე შეიწირა, ამიტომ იგი მოწმიდან ბრალდებულად იქცა. მისთვის ერთადერთ იმედს ახალი რევოლუცია წარმოადგენს. სწორედ ასეთი რევოლუციის ინსპირირებას ცდილობდა იგი, როდესაც აღვივებდა კონფლიქტს და აქეზებდა საკუთარ მომხრეებს.

**რით შეიძლება ყოველივე ეს დასრულდეს? ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვის მხარეს დაიჭერენ ყირგიზეთის კლანური დაჯგუფებები და როგორ რეაგირებას მოახდენს მოვლენებზე კანონიერი ხელისუფლება. ატამბაევი, რომელიც ციხეშიც ვერ ეგუება იმას, რომ უკვე დიდი ხანია, პრეზიდენტი აღარ არის, შეეცდება ესკალაციის პროვოცირებას, რომელიც ქვეყანას კონფლიქტამდე, უარეს შემთხვევაში კი ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად გაყოფამდე მიიყვანს.**

**რევაზ გიორხელიძე**

◎ უცხოელის საზრისი

# რობერტ ჰამილტონი: რუსეთი კავკასიაში...

**საქართველოში მიმდინარე პროცესებზე „ამერიკის ხმა“ აშშ-ის არმიის ომის კოლეჯის პროფესორს, ლეიტენანტ რობერტ ჰამილტონს ესაუბრა. ჰამილტონი ასევე შავი ზღვის აუზის სწავლებების მკვლევარია ვაშინგტონში, საგარეო პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში. ლეიტენანტს ანა კალანდაძე ესაუბრა.**

**— რობერ შეაფასებთ იმ საპროტესტო აქციებს, რომლებიც თბილისში 20 ივნისიდან მიმდინარეობს?**

— ვფიქრობ, საპროტესტო მოძრაობის პირდაპირი კატალიზატორი რუსეთის დელეგაციის ვიზიტი და დეპუტატ გავრილოვის მიმართვა იყო, რაც ქართველების უმრავლესობისთვის მაშინ, როცა ქვეყნის ოცი პროცენტი რუსეთის მიერ ოკუპირებულია, განსაკუთრებულად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა.

თუმცა, ამის მიღმა, მიტინგებმა ასევე გამოავლინა მოსახლეობის დაღლილობა „ქართული ოცნების“ კოალიციის მთავრობის მიმართ და აჩვენა, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სურს უფრო მეტად კონკურენტული პოლიტიკური სისტემის არსებობა.

ამიტომაც, მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დელეგაციის ვიზიტი აქციების დაწყების მიზეზი გახდა, ამ ყველაფერს ხელი შეუწყო არსებული პოლიტიკური წყობით უკმაყოფილებამ.

**— როგორც სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს, რა პროგნოზს გააკეთებთ ამ უახლესი გაკვეთილის გათვალისწინებით საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე და რას გამოყოფდით?**

— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, მას დღემდე უჭირს ამ პროგრესის შენარჩუნება. ამ დროს, საქართველოს დემოკრატიამ წარმატების ორი ხანმოკლე პერიოდი გაიარა: პირველი, ეს იყო 2003 წლის რევოლუციის შემდეგ და მეორე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მომდევნო პერიოდში. ორივე პოლიტიკურმა ძალამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2003 წლის შემდეგ და „ქართული ოცნების“ კოალიციამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ძალაუფლების კონსოლიდაციის ნიშნები გამოავლინა და გახდა ნაკლებ ტოლერანტული პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნების შედეგად გადაირჩიეს იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც შეურაცხმყოფელი სკანდალური ვიდეოკადრების გავრცელებას მოჰყვა, რაც საზოგადოების მრისხანების მთავარ მიზეზად იქცა. საინტერესოა, ვნახოთ, თუ რამდენად ექნება მიმდინარე პროტესტს იგივე გავლენა „ქართული ოცნების“ მთავრობაზე და მის მომავალზე.

ხელისუფლების გადაწყვეტილება — პროპორციული სისტემით ჩაატაროს მომავალი არჩევნები, პოზიტიური სიგნალია. ეს ნაბიჯი შესაძლებლობას და უპირატესობას შეუზღუდავს მთავრობის წევრებს, რაც სისტემის მიერ ხალხის ნების ადეკვატური აღქმა იქნება. ეს სისტემა ასევე, შესაძლო პოლიტიკური გარიგებების დროს აღებ-მიცემობის შანსებს და გავლენიანი ლიდერების შეუზღუდავ წვდომას, ძლევამოსილთა კულტის წარმოშობის შესაძლებლობასაც შეამცირებს. ეს არის ის დიდი ორი პრობლემა, რაც არაერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის განვითარებას აფერხებს.

თუმცა, ნულოვანი ბარიერის გამოცხადებამ შესაძლოა, პატარა პარტიების ფრაგმენტაცია გამოიწვიოს პარლამენტში შესვლამდე, რაც სტაბილურობას შეუქმნის საფრთხეს და ექსტრემისტებს პარლამენტში კიდევ უფრო მეტ ხმას მიანიჭებს, იმაზე მეტს, ვიდრე ისინი ბარიერის არსებობის შემთხვევაში მიიღებდნენ.

**— რას ფიქრობთ „ქართული ოცნების“ მზაობაზე ოპოზიციური პარტიების, ან ოპონენტების დაკავება და პასუხისგებაში მიცემა მოახდინოს მიტინგისას მომხდარი არეულობების ინსპირირების მოტივით?**

— ოპოზიციონერი პარლამენტარის დაპატიმრება და მთავრობის ჩანაფიქრი, რომ ის „ჯგუფური ამბოხის ორგანიზების და ხელმძღვანელობისთვის“ გაესამართლებინა, დაკვირვებად ღირს. თუ ეს პროცესი მართლაც პოლიტიკურად მოტივირებულია ოპოზიციის ხმის ჩახშობის და მათი მხრიდან პოლიტიკური შეცდომების გამოხატვის ჩახშობის მიზნით, მთავრობა ხალხის და საქართველოს პარტნიორების თვალში ლეგიტიმაციას დაკარგავს.

**— რა შეგიძლიათ თქვათ რუსეთის სამომავლო, სავარაუდო ქმედებებზე?**

— რუსეთი ნებისმიერ შანსს გამოიყენებს, რომ საქართველო არასტაბილურ, ქვეყნის მთავრობა კი არადემოკრატიულად წარმოაჩინოს. ამ პირობებში, მთავრობამ და ოპოზიციამ ამგვარი შესაძლებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ინტერესებში არ შედის ისეთი ნაბიჯების გატარება, რომლებიც რომელიმე ერთი მხარის მოკლევადიან ინტერესებს ემსახურება და სინამდვილეში, რუსულ ნარატივს ეხმარება. ამიტომაც, ოპოზიციას და მთავრობას უნდა ახსოვდეთ, რომ ერთმანეთთან განსხვავება ბევრად პატარაა, საქართველო-რუსეთის განსხვავებებთან შედარებით.

**— რამდენად ძლიერია რუსეთის გავლენა, მისი ფაქტორი საქართველოში დღეს?**

იხ. 9 გვ.

◎ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

# ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲐᲕᲘᲡᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ

**ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ** **ტექნოლოგიების შემოჭრა საზოგადოებრივ და მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს. რაც უფრო დიდ ადგილს იკავებს ჩვენს ყოფაში ციფრული ტექნოლოგიები, მით უფრო მატულობს მათ მიმართ დაძაბული ყურადღება, რისი მიზეზიც ისაა, რომ მრავალი ექსპერტის აზრით, ყოველდღიური ყოფის უპირველესი ამოცანა ყველასა და ყველაფერზე ტოტალური კონტროლის დამყარებაა. ამიტომაც ბევრი ანალიტიკოსი ამთავითვე განგაშს ტეხს და „ხელოვნურ ადამიანთა ცივილიზაციის“ შექმნის წინააღმდეგ ილაშქრებს, ვიდრე მას კაცობრიობა არ დაუმონებიათ.**

ამასთან, ექსპერტები ერთხმად იმასაც უსვამენ ხაზს, რომ თავისთავად ნებისმიერი ტექნოლოგია არ შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი იმ მარტივი მიზეზით, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტია. მთელი ის კომფორტი, რომელიც ციფრულ ტექნოლოგიებს მოაქვთ, საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, მის მეორე, „ბნელ მხარეს“ კი ასე მალ-მალე არ ახსენებენ. **ციფრული ეკონომიკის დამკვიდრების არსი არა მხოლოდ მომსახურების სფეროს სახეცვლის, არამედ სახელმწიფო მართვის, ჯანდაცვის, ბიზნესის, განათლების სისტემისა და ა.შ. ძირფესვიანად შეცვლას გულისხმობს. ფაქტობრივად, საქმე ერთიანად სახელმწიფოს ტრანსფორმირებაზეა მიმდგარი, თანაც ეს, პირველ ყოვლისა, მოქალაქეთა პერსონალურ, მათ შორის, ბიომეტრიულ მონაცემთა მოპოვება-შეგროვებას ეხება.**

ყოველივე ამის შედეგად, თითოეულ ადამიანს ციფრული დუბლიკატი — ავატარი — ეყოლება, რის შედეგად ნებისმიერი ჩვენგანი ინფორმაციის მფლობელთათვის აბსოლუტურად გამჭვირვალე გახდება და საკუთარი სურვილისდა მიუხედავად, ვერაფრის დამალვას ვერ შეძლებს.

ვინმეს შეიძლება დაებადოს კითხვა: განა რისთვისაა საჭირო ეს და ვისთვისაა განკუთვნილი ეს ინფორმაცია? საქმე ისაა, რომ **ციფრული ეკონომიკის ინტერესთა უმთავრესი ობიექტია მომხმარებელი, რომლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია პირველ რიგში, საქონლის მწარმოებლებსა და მომსახურების მიმწოდებლებს, ასევე ბანკირებს აინტერესებთ.** უფრო კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, უახლოეს მომავალში ნებისმიერი ჩვენგანი ყოველდღიურად, მთელი ცხოვრების მანძილზე, სადაც არ უნდა მოხვდეს, **ელექტრონულ კვალს დატოვებს,** რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, არც მისი მიგნება გაჭირდება, არც საქმიანობის რაობის დადგენა.

ეს ყველაფერი თავისთავად, ანტიტერორისტული თვალსაზრისით, იქნებ არც ურიგო იყოს, მაგრამ ასე წინდაწინ პოტენციური ტერორისტების გამოვლენა ვერანაირად მოხერხდება, ერთიანად საზოგადოებაზე ტოტალური კონტროლის დაწესება კი კაცობრიობას თუ მსოფლიო ციფრულ გონებას, აუცილებლად უკიდეგანო ჯერ სავაჭრო, შემდგომ კი პოლიტიკურ ავტორიტარიზმამდე მიიყვანს. მომხმარებლისთვის ბრძოლაში გამარჯვება არა უკეთესი საქონლისა თუ მომსახურების მწარმოებელს, არამედ უკეთესად ინფორმირებულ მიმწოდებელს დარჩება და აქ ყველა ხერხი მისაღები იქნება.

რაც შეეხება ელექტრონული კონტროლის ტერორიზმთან და, ზოგადად, დანაშაულებრივ, ანტისაზოგადოებრივ მოქმედებებთან ბრძოლის გასაძლიერებლად გამოყენებას, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მას არანაკლებად ეფექტიანად თავის მხრივ კრიმინალიტეტიც ახორციელებს. ამის შედეგად კი დანაშაული სულ უფრო მეტად ძნელად საპრევენციო ხდება. ციფრული ეკონომიკის კიდევ ერთ საფრთხეს მეტი ეკონომიის გაწევის წადილს უკავშირდება, რის შედეგად მომავალში ბევრი პროფესია მოისპობა, აუარება ხალხი კი ქუჩაში აღმოჩნდება. ეს უწინარესად საშუალო კატეგორიის მუშაკებს შეეხება: ერთი მხრივ იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომლებსაც ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, რასაც მანქანები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, მეორეს მხრივ, სულ უფრო მეტად საჭირო ხდება ისეთი მუშაკები, რომლებსაც არანაირი კვალიფიკაცი არ გააჩნიათ. ამის თვალნათელი მაგალითია ონლაინ-მაღაზიები, რომელთა თანამშრომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ მომხმარებლისთვის საქონლის მიმწოდებელი შიკრიკები წარმოადგენენ.

**არადა, რეალობა ისეთია, რომ ამჟამად ხელოვნური ინტელექტის სისტემები უამრავ საქმეში გამოიყენება: რობოტები ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს ატარებენ, რადიომართული ტრაქტორები ხნავენ, კომბაინები კი მოსავალს იღებენ, დრონები საომარ მოქმედებებში მონაწილეობენ... ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ მთელი ამ ტექნიკის მომსახურებას შეუდარებლად ნაკლები მუშახელი სჭირდება, დანარჩენები კი უმუშევრები რჩებიან.**

ამდენად, როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი ყოფის გარკვეულ სფეროებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისადმი მიდგომა დიდი სიფრთხილითაა საჭირო, რადგან ამ მეჩხერ წყალში უამრავი უხილავი, დამღუპველი მეჩეჩია.

◎ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲜᲝᲑᲘ

# ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ

**ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲘ** **მუდამ აღელვებდა კაცთა მოდგმას, მათ შორის განსაკუთრებით წინასწარმეტყველური სიზმრები. მათ ახსნას ტრადიციულად მისტიკოსები და მარჩიელები ცდილობდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ავსტრიელმა ფსიქიატრმა ზიგმუნდ ფროიდმა სიზმრები ფსიქოანალიზის ქვაკუთხედად აქცია. მაგრამ, რას წარმოადგენს მისი სწავლება — მეცნიერებას თუ ხელოვნებას, კამათი დღესდღეობითაც არ წყდება.**

არადა, ბოლო წლებში დასავლეთის სოლიდურ სამედიცინო ჟურნალებში იმ სიზმრების გამოკვლევის თაობაზე არაერთი მეტად დამაჯერებელი სტატია გამოქვეყნდა, რომლებიც ადამიანებმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ნახეს. მეტიც, გაჩნდა ახალი სამედიცინო ცნება — **„სიზმრები და ხილვები სიცოცხლის ბოლოს“ (End-of-Life Dreams and Visions).**

ყველაზე ცნობილი ასეთი გამოკვლევა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნის, რომლებიც წელიწადნახევრის მანძილზე ჰოსპისების პაციენტებთან ურთიერთობდნენ, რა დროსაც 66 კაცთან 453 ინტერვიუ ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ **სიზმრებს, რომლებსაც ხალხში „წინასწარმეტყველურს“ უწოდებენ, ათი გამოკითხულიდან ცხრა ხედავდა,** რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

**მაინც რას ხედავდნენ ეს ადამიანები?**

კარგადაა ცნობილი კლინიკურ სიკვდილგადატანილთა სიზმრების აღწერები. ისინი ხშირად ყვებიან გვირაბში ფრენის შესახებ, რომელიც სინათლეში გასვლით სრულდება. როგორც წესი, ეს ფრენა სიცოცხლიდან სიკვდილისკენ გადასვლად აღიქმება. არადა, ჰოსპისების პაციენტების სიზმრების აღწერაში არავითარი გვირაბები არ არის, მაგრამ მათ 59 პროცენტს სიზმარში ის აზრი ჰქონდა, რომ სადღაც უნდა წასულიყო, თუმცა მგზავრობის ბოლო პუნქტის შეცნობა არც ერთ მათგანს არ შეეძლო. ზოგიერთნი

ბარგს ალაგებდნენ, ზოგნი უკვე გზაში იყვნენ, ზოგი თვითმფრინავით, ზოგიც მატარებლებით გადაადგილდებოდა და მათი თანამგზავრები ხშირად გარდაცვლილი ადამიანები იყვნენ.

ასეთ სიზმართა ყველაზე ხშირი მოტივია გარდაცვლილ ნათესავებთან ან მეგობრებთან შეხვედრა (შემთხვევათა 72 პროცენტი). რაც უფრო ახლოვდებოდა პაციენტის გარდაცვალების დრო, ასეთი სიზმრები მით უფრო ხშირად მეორდებოდა. ამასთანავე, ეს სიზმრები სულაც არ იწვევდნენ შიშის, განგაშის ან გაღიზიანების გრძნობებს, პირიქით, სასიამოვნო და დამამშვიდებელიც კი იყო. სიზმრის მნახველს ყველა ახლობელი რაღაც სასიამოვნოს, გამამხნევებელს ეუბნებოდა, ისინი ბედნიერ ბავშვობაში ანდა იმ ადგილებში ბრუნდებოდნენ, სადაც ოდესღაც ბედნიერები იყვნენ. **უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვები კი თავიანთ საყვარელ შინაურ ცხოველებს ან სათამაშოებს ხედავდნენ, რომლებთანაც ისინი მხიარულად თამაშობდნენ.**

ცხოვრებაში განცდილ დიდად ემოციურ ამბებს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე პაციენტების 28 პროცენტი ხედავდა.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ასეთი სიზმრები გარკვეულ ფსიქოთერაპიულ ეფექტს იწვევდნენ და უკურნებელი სენით შეპყრობილ ადამიანში სიმშვიდისა და კომფორტის გრძნობას ამკვიდრებდნენ, უადვილებდნენ გარდაუვალ დასასრულთან შერიგებას.

ზიგმუნდ ფროიდი წერდა, რომ **სიზმრები** — ესაა ჩვენი ცნობიერების მიერ დღის განმავლობაში გაუთვითცნობიერებელი აფექტების — სტრესების, განცდების, ფსიქოტრავმების — გადამუშავების შედეგი. სიკვდილის მომლოდინე ადამიანთა სიზმრებიც მათი გონების ნაწარმოებია.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: **ჩვეულებრივისგან განსხვავებით, ასეთი სიზმრები არაჩვეულებრივი სიხასხასით გამოირჩევიან.** მეცნიერების განცხადებით, გამოკითხულთა 99 პროცენტი მათ რეალობად აღიქვამენ, იმდენად ინტენსიურ განცდებს იწვევდნენ ისინი მათში.

საინტერესოა, რამდენად წინასწარმეტყველურია ეს სიზმრები? ამ კითხვაზე მეცნიერებს ერთმნიშვნელოვანი პასუხი არა აქვთ, მაგრამ მათ მიერ მოყვანილი მონაცემები აშკარად დამაფიქრებელია: როცა კი მკვლევარებმა სიზმრების დრო და გარდაცვალების მომენტების კორელაცია მოახდინეს, აღმოჩნდა, რომ წინასწარმეტყველური სიზმრების პირველი ტალღა გარდაცვალებამდე 8-11 კვირით ადრე წარმოიშვება. შემდეგ ისინი უფრო იშვიათი ხდება, მაგრამ ფატალურ დასასრულამდე 1-3 კვირით ადრე მათი ინტენსივობა კვლავ მატულობს...

**ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲗᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ**

◎ დაცემა

# „ზა ეტო მორდუ ბიუტ“

**მრცხვენია, რომ ქართველი ვარო, — ესეც კი მოვისმინე, როცა „მიხეილ მესხის“ სტადიონზე „საბურთალოს“ კაპიტულაცია გაფორმდა.**

ბუნებრივია, მარცხისგან არავინაა დაზღვეული, მით უმეტეს — ევროტურნირების გამოუცდელი დებიუტანტი. აკი, მან წინა ორი საშინაო შეხვედრაც წააგო, მაგრამ ამიერკავკასიელ მეზობლებთან პრინციპული ორრაუნდიანი დუელის დათმობა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება. თანაც, როცა ყველაფერს სკანდალის სუნი ასდის.

დავიწყოთ იმით, რომ „არარატ არმენიამ“ გაბედა და თბილისში, აფხაზეთის ომის დაწყების დღეს, ტაშირისწარწერიანი მაისურებით ითამაშა. დავიჯეროთ, ყველას დაავიწყდა, რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი ლორე-ტაშირი საუკუნის წინათ სწორედ სომხეთს უფეშქაშეს ბოლშევიკებმა?! კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ჩვენგან მიტაცებული ტერიტორიით სტუმართა მანიპულირება და ამ სამარცხვინო ფაქტზე მასპინძელთა წაყრუება. ეს, უპირველესად, ოფიციალურ სტრუქტურებს ეხება, რომელსაც შექმნილ სავალალო პოლიტიკურ ვითარებაში, რომ იტყვიან, ასი თვალისა და ასი ყურის გამობმა მართებს, მაგრამ აღნიშნული ყოფნა-არყოფნის ტოლფასი თემის თაობაზე ჯერაც არაფერი გვსმენია.

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამო“ უეფამ მეორე მეზობელი ქვეყნის — აზერბაიჯანის „გაბალასთან“ ტრიბუნიდან რასისტული შეძახილებისა და ვითომ ფაშისტური ბანერის გამოფენის გამო ფინანსური სანქციითა და უმაყურებლო საშინაო შეხვედრით დასაჯა. იქნებ, ამ შემთხვევაში ჩვენი ჩემპიონის ინტერესების დასაცავად ქართულ მხარესაც ჩაეცვა რკინის ქალამნები და საქმის კურსში უეფას ჩასაყენებლად ეზრუნა?

რაც შეეხება მეორე საკითხს, იგი უფრო ვარაუდის სფეროდანაა, მაგრამ ხომ იცით, ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება. საუბარია გამძვინვარებულ გულშემატკივართა ნაწილის მიერ „საბურთალოს“ მიმართ გამოხატულ აგრესიასა და ლანძღვა-გინებაზე, რასაც ზოგ-ზოგიერთებმა დესერტად თამაშის გაყიდვის ბრალდებაც დაურთეს. ენას მართლაც რომ არა აქვს ძვალი, თუმცა, ისიც შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ახლო წარსულში ანალოგიური მიზეზით თბილისის „დინამოდან“ ქართული ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი გაუგდიათ, თანაც მას რამდენიმე თანაგუნდელი ფიზიკურადაც გასწორებია — რაღა მაინცდამაინც „არარატთან“ გაგვყიდეო.

ასეთი საჩოთირო სტრიქონების შემდეგ რაღა უნდა ვთქვათ თბილისის „დინამოზე“, რომელიც ისე დაკნინდა, რომ ჰოლანდიაში „ფეიენოორდთან“ პირველ მატჩში 0:4 დაცემის შემდეგ შინ ნახევარი ძალით მოთამაშე სტუმრებთან მხოლოდ 8-ჯერ(!) დაჯარიმდა.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ლეგიონერი

# გაისადაც — ესპანეთში

**24 წლის ქართველი ცენტრი შოთა გელაზონია (სიმაღლე 2.07 მ.) მომავალ სეზონს ისევ ესპანეთში, რანგით მე-3 ლიგის (LEB-Silver) ბინადარ „მორონში“ გაატარებს.**

შეგახსენებთ, რომ შოთამ გასული სეზონი იმავე ლიგაში, ოლონდ, „ლ'ჰოსპიტალეტში“ დაჰყო და 23 მატჩში საშუალოდ 9.3 ქულას, 3.7 მოხსნასა და 1.3 პასს აგროვებდა. გელაზონიას საქართველოში „დინამოსა“ და შსს აკადემიის რიგებში უთამაშია, ესპანეთში კი „კარამიმბრეში“, „ზამორანოში“, „კამბადოსსა“ და „ინოვა ჩეფშიც“ ირიცხებოდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩანსი

# დათუნაშვილის ვარიანტი

**ქართველმა მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილმა კარიერა, შესაძლოა, სერბეთში განაგრძოს.** როგორც „ინტერპრესნიუსს“ დათუნაშვილმა განუცხადა, „სერბები ყველანაირად ეხმარებიან, რომ მათი ქვეყნის სახელით იასპარეზოს“.

**„2 კვირის წინათ სერბეთში ვიყავი ჩასული და შეკრებაც გავიარე სერბებთან ერთად. ისინი ყველანაირად მეხმარებიან, რომ ამ ქვეყნის სახელით ვიასპარეზო და ვნახოთ... მე ვარჯიშს ვაგრძელებ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად საქართველოს სახელით ჭიდაობის უფლება მაქვს, გეგა გეგეშიძესთან (საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი) მომხდარი ინციდენტის შემდეგ არც ერთ შეჯიბრზე არ გამოვსულვარ. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა, რომელიც სწორედ გეგეშიძესთან ინციდენტის შემდეგ მივიღე“,** — განაცხადა ზურაბ დათუნაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ 11 იანვარს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალის დღეს სპორტის სასახლეში დაპირისპირებისას ევროპის ორგზის ჩემპიონ ზურაბ დათუნაშვილს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გეგა გეგეშიძე ფიზიკურად გაუსწორდა. მომხდარზე გამოძიება დაიწყო და გეგეშიძე დააკავეს, თუმცა, მოგვიანებით გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. თავის მხრივ, დათუნაშვილი გეგა გეგეშიძის გადადგომას ითხოვს, მაგრამ გეგეშიძე პოსტზე ამ დრომდე რჩება.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

# უკვე ჩვენზე ფიქრობენ

**უელსის სარაგბო ნაკრებმა, რომელიც 2019 წლის მსოფლიო თასზე ჯგუფში საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა, ინგლისთან მოახლოებული ტესტ-მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა.**

„დრაკონების“ მთავარ მწვრთნელ უორენ გეთლენდს თამაშის წინა პრესკონფერენციაზე არ დაუმალავს, რომ შაბათს დაგეგმილ შეხვედრას „ბორჯღალოსნებთან“ ჯახისთვის გენერალურ რეპეტიციად განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე უელსელები ლონდონურ „თვიქენჰემზე“ 19:33 დამარცხდნენ, დღეს კი ინგლისელებს მშობლიურ კარდიფში, „პრინსიპალითი სთედიუმზე“ დაუხვდებიან და რევანშისთვის იბრძოლებენ. წინა ტესტთან შედარებით გეთლენდმა სასტარტო შემადგენლობაში 3 ცვლილება განახორციელა. მე-2 ხაზში ნაკრების კაპიტან ალუნ უინ ჯონსთან ერთად ჯეიკ ბოლი გაირჯება, მე-3 ხაზში კი ჯეიმს დევისს ვიხილავთ და ეს პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც საქმეში ერთბაშად ორი ძმა დევისი ჩაერთვება. გარეთ დევისი, ტრადიციულად, 9 ნომრის პოზიციაზე გაირჯება, რომელსაც ღერძში მგეზავად დენ ბიგარი შეუწყვილდება. ეს უკანასკნელი ტრავმირებულ გარეთ ენსკომბს ჩაანაცვლებს, რომელსაც, წინასწარი ინფორმაციით, მსოფლიო თასზეც ვერ ვიხილავთ.

**„მომავალი უიქენდი კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რათა მინდორზე საკუთარი თავი გამოვცადოთ და იაპონიაში დაგეგმილი ტურნირისთვის კარგად მოვემზადოთ. საქართველოსთან სასტარტო მატჩამდე ხუთ კვირაზე ცოტა მეტი რჩება და ძალიან მნიშვნელოვანია, იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში ვიყოთ. ინგლისთან გასულ მატჩში მარცხმა დიდი იმედგაცრუება მოგვიტანა. ამჯერად მეტი შრომა გვმართებს, რათა ტრიბუნებზე შეკრებილ პუბლიკას სიხარული მოვუტანოთ. ბიჭებს უნდათ მსოფლიო თასამდე წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან და შედეგები გააუმჯობესონ“,** — აღნიშნა გეთლენდმა.

### განაცხადი ინგლისთან მატჩისთვის

**უელსი:** 1. ნიკი სმითი; 2. კენ ოუენსი; 3. თომას ფრენსისი; 4. ჯეიკ ბოლი; 5. ალუნ უინ ჯონსი (კაპ.); 6. აარონ უეინრაითი; 7. ჯეიმს დევისი; 8. როს მორიარტი; 9. გარეთ დევისი; 10. დენ ბიგარი; 11. ჯოშ ადამსი; 12. ჰედლი პარკსი; 13. ჯონათან დევისი; 14. ჯორჯ ნორსი; 15. ლიამ უილიამსი.

**მარძაფა:** 16. ელიოტ დი; 17. უინ ჯონსი; 18. დილონ ლუისი; 19. აარონ შინგლერი; 20. ჯოშ ნავიდი; 21. ელედ დევისი; 22. ჯაროდ ევანსი; 23. ოუენ უოტკინი.

**კობა კობახიძე**

◎ ინტერნეტიდან

# „ბოტაფოგოს“ ტრფიალი

**ზედმეტად** **მომატებული წონის გამო საპოდიუმე ფიცარნაგიდან უდროოდ წასული ყოფილი მოდელი მაიარა კასტრო ზოგადად სპორტის დიდი ქომაგია და სადაც კი ბრაზილიელი სპორტსმენი მონაწილეობს, ქომაგები ყველგან ამ ფუმფულა ქალბატონის განიერ სილუეტს ლანდავენ.**

თუმცა, მას თავისი გამორჩეული სიყვარულიც გააჩნია და ეს პოპულარული საფეხბურთო კლუბი „ბოტაფოგოა“. რიო დე ჟანეიროულ კლუბს გადამდგარი მოდელი ბავშვობიდან გულშემატკივრობს და ასეთი ერთგული ქომაგობით ამ გუნდის ისტორიის ერთ-ერთი ნაწილიც გახდა.

იქაური საფეხბურთო ჩემპიონატი, როგორც იცით, მეტად უცნაური გათამაშებაა, რომლის ფორმატიც ხშირად იცვლება, თუმცა, არ იცვლება ტორსიდის ერთგულება და სიყვარული, რისი თვალნათელი მაგალითიც სენიორა მაიარაა, რომელსაც ისიც კი აქვს ნათქვამი, რომ ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებზე მეტად გული სწორედ „ბოტაფოგოზე“ შესტკივა.

**ბეჟან დოლიძე**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელზა ხუროშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ელზა ხუროშვილი (პ/ნ 13001001226), თელავი, მეგობრობის ქ. №33ა.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გურჯაანი, ფარნავაზის ქ. №39 (საკადასტრო კოდი: 51.01.61.070 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23124.78 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 16 აგვისტო, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 30 აგვისტო, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP62014819; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 620148

6. **მოვალე:** ბექა გაგნიძე (პ/ნ 12001092237), გარდაბანი, ს. ზემო თელეთი, მე-12 ქ. №5, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP62014819; ლოტის ნომერი: 620148).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 30 აგვისტოს 10:00 საათამდე.

◎ უცხოელის საზრისი

# რობერტ ჰამილტონი:
# რუსეთი კავკასიაში...

(მეექვსე გვერდიდან)

— რუსეთის სამხედრო პოზიციონირება საქართველოში დღეს საკმაოდ ძლიერია, ვიდრე წარსულში, პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიის რომელიმე მონაკვეთში. რამდენიმე ათასი ჯარისკაცის პირობებში ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ისევე, როგორც სომხეთში, გიუმრის ბაზაზე, რუსეთის სამხედრო უპირატესობა ახლა უფრო თვალსაჩინო და საშიშია სამხრეთ კავკასიაში, ვიდრე ეს 2008 წლის ომამდე იყო.

თუმცა ძალის უფრო რბილი გამოხატულებით, რუსეთის სტატუსი საქართველოში ჩამოშლას აგრძელებს. საპროტესტო აქციების შემდეგ, რუსეთის მიერ პირდაპირი ფრენების აკრძალვას, ქართულ ტურისტულ ინდუსტრიაზე მოკლევადიანი შედეგი აქვს და რთულად წარმოსადგენია, რომ მას გრძელვადიანი გავლენა მოჰყვეს. მოსკოვის მიერ ქართულ პროდუქციაზე პერიოდულ აკრძალვას ყველასათვის დასანახი პოლიტიკური მიზეზები აქვს, რამაც ქართულ ეკონომიკას ზრდაში ხელი ვერ შეუშალა. პირიქით, კრემლის ეკონომიკურმა წნეხმა საქართველოს სტიმული მისცა რუსეთისგან, როგორც მთავარი სავაჭრო პარტნიორისგან და ტურიზმით შემოსული შემოსავლის მომტანი მთავარი წყაროსგან თავი დაეხსნა. ეს კი საქართველოს საშუალებას მისცემს, გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მყარ ეკონომიკურ საფუძველზე გააგრძელოს არსებობა. ეს უკვე ასეც ხდება — 2018 წლის პირველ ნახევარში, საქართველოდან ექსპორტმა ევროკავშირში რუსეთში გატანილ ექსპორტს გაუსწრო 164 მილიონი დოლარით. და ბოლოს, რუსეთის აგრესიული მოქმედება იმ ფაქტზე კონცენტრაციის საშუალებას არ იძლევა, რომ ეს ორი ქვეყანა ისტორიულად კავშირებს ინარჩუნებდა კულტურის დარგში, ან რელიგიური კუთხით.

ისე რომ, როგორიც არ უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მოქმედებები, თავად მოსკოვის მოქმედებებმა მისი გავლენა შეასუსტა კავკასიაში. კრემლი ახლა დგას იმ ფაქტის წინაშე, როცა სამხედრო ძალა მისი ერთადერთი ინსტრუმენტია საქართველოში და რომ ამ ინსტრუმენტის გამოყენება (საქართველოში) დაუმორჩილებლობას გამოიწვევს თავად საქართველოში და საპასუხო რეაქციას დასავლეთში, რაც კიდევ უფრო შელახავს რუსეთის პოზიციას მსოფლიოში.

**— საქართველოს მთავრობასა და ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძეს შორის განვითარებულმა მოვლენებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბიზნესმენზე შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით. როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს ანაკლიის პორტის მნიშვნელობის და მისი წარმატებული განვითარების კონტექსტში?**

— როგორც ამერიკის საელჩომ აღნიშნა თბილისში, საქართველოს მდგრადი უნარი, რომ მიიზიდოს დასავლური ინვესტიციები, დამოკიდებულია აღქმაზე, რომ მისი სასამართლო სისტემა მიუკერძოებელი და თავისუფალია პოლოტიკური გავლენისგან. ბოლო ოცი წელია, საქართველომ დაუჯერებელი მასშტაბით შეძლო კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკის ლიბერალიზაცია. 1990იან წლებში არსებული ეკონომიკური ნგრევის შემდეგ, ახლა ქვეყანა 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა ბიზნესის წარმოების სიმარტივის მიხედვით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ბიზნესისთვის მეგობრული გარემო და კორუფციისგან დამოუკიდებელი საქართველო წინაპირობაა იმისთვის, რომ ეს ქვეყანა განვითარებული, მაღალ-შემოსავლიანი ქვეყნების თანამეგობრობას შეუერთდეს. მიუხედავად პროგრესისა და ამ დარგებში მიღწეული წარმატებისა, ეს მონაპოვარი შეუქცევადი არ არის და საკმაოდ მოწყვლადია. სნორედ ამიტომ, აშშ მკაფიოდ აცხადებდა და გაფრთხილებას აკეთებს, რომ გავლენა ეკონომიკაზე ნამდვილად ექნება პოლიტიზირებულ სასამართლო სისტემას. ნებისმიერი სიგნალი, რომ საქართველოს მთავრობა ძალაუფლებას იყენებს პოლიტიკური ოპონენტების დასასჯელად დასავლურ კაპიტალს დააფრთხობს და ქვეყნიდან გასვლას აიძულებს უფრო პროგნოზირებადი პოლიტიკური ლანდშაფტის მქონე ქვეყნებში.

**ანა კალანდაძე**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს ,,ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალების რეალიზების მიზნით, ენგურჰესის 2019 წლის 01 აგვისტოს #01/271 წერილის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 აგვისტოს #23/6291 თანხმობის საფუძველზე აცხადებს აუქციონს ავტომანქანაზე, შემდეგი მონაცემებით:

მარკა (მოდელი) - HYUNDAI HI VAN {7+1} მიკროავტობუსი

გამოშვების წელი - 2011 წ.

სახელმწიფო ნომერი - NXN 610

ფერი - რუხი 3/8

სალონი - ტყავი

საიდენტიფიკაციო ნომერი - N KMHWH81JACU412379

გადაცემათა კოლოფი - მექანიკური

ძრავი - დიზელი 2500 სმ.კუბ.

სპიდომეტრის ჩვენება (გარბენი) - 595000 კმ.

საწყისი სარეალიზაციო ფასი - 11250 (თერთმეტიათასორასორმოცდაათი) ლარი;

წინასწარი შენატანი საგარანტიო თანხა „ბე“ – 1200 (ერთიათასორასი) ლარი;

სავაჭრო ბიჯი - 120 (ასოცი) ლარი;

აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი, (ელექტრონულის გარდა) - 20 ლარი

დეფექტები: ოთხივე საბურავი გაცვეთილია 70-80 % -მდე, აკუმულატორი გამოსაცვლელია, საქარე მინა გაბზარულია, წინა ხიდი შესაკეთებელია, საჭირო გადაცემათა კოლოფის რევიზია, წესრიგშია მოსაყვანი სამუხრუჭე სისტემა, გამოსაცვლელია ლილვი (კარდანი) და ძრავის ზეთი, საბარგულის კარი ხმაურობს, გამოსაცვლელია რეზინები და კიდევ მოითხოვს სხვადასხვა მცირედ დაზიანებული დეტალებისა და კვანძების შეკეთებას.

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს ,,ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და ,,ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საგარანტიო თანხის, ,,ბე"-ს, და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს ,,ენგურჰესი", ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT6600000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2019 წლის "16" აგვისტოს 10 სთ-დან 2019 წლის 22 აგვისტოს 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2019 წლის 22 აგვისტოს 14 საათზე**, მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ,,სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს ,,ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- დამტკიცებული განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის" ოფისი);

-,,ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

-აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 595 227050

**შპს „ენგურჰესის“ აუქციონის მომწყობი კომისია**

# იერუსალიმთან 10 000 წლის უზარმაზარი ნეოლითური ნაქალაქარი აღმოაჩინეს

**იერუსალიმის სიახლოვეს ქვის ხანის გიგანტური დასახლება აღმოაჩინეს. მეცნიერთა განცხადებით, ის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ამ სახის ძეგლია, რაც კი ოდესმე აღმოგვიჩენია.**

ნეოლითური მეგა-ძეგლი იერუსალიმიდან 5 კილომეტრით დასავლეთით, მოცას მიკრორაიონში აღმოაჩინეს. როგორც ირკვევა, ეს დასახლება 10

000 წლის წინ დაარსდა, დაახლოებით ათასი წლის შემდეგ კი ვაჭრობისა და სხვა აქტიურ საქმიანობათა ცენტრი გახდა, სადაც 2000-3000 ადამიანი ცხოვრობდა.

ისრაელის სიძველეთა სამმართველოს არქეოლოგის, ლორენ დევისის განცხადებით, ეს გახლავთ ისტორიის ამ მონაკვეთის უდიდესი არქეოლოგიური გათხრა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც უდავოდ ბევრ ახალ ინფორმაციას მოგვაწვდის.

უძველესი ქალაქის ნამდვილი სახელი უცნობია; თუმცა ვიცით, რომ ის სტოუნჰენჯსა და ეგვიპტის პირამიდებზე ძველია. არქეოლოგიური გათხრები 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქალაქის ფართობი დაახლოებით 40 ჰექტარი უნდა ყოფილიყო.

დასახლება 10500 წლის წინ დაარსდა და მაშინ სულ რაღაც ერთი ჰექტარის ფართობს მოიცავდა. თუმცა, მომდევნო 1500 წლის განმავლობაში ის განვითარებულ ურბანულ ცენტრად იქცა, რომელშიც მრავლად იყო დიდი შენობები, საზოგადოებრივი ობიექტები და სარიტუალო ადგილები.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ასეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის აღმოჩენა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. წლების წინ არქეოლოგები ეჭვობდნენ, რომ მოცას ქვეშ შეიძლება გარკვეული სახის ნეოლითური დასახლების ნაშთები ყოფილიყო, მაგრამ დამარხული ქალაქი დღის სინათლეზე მხოლოდ ბოლო წლებში გამოჩნდა, როცა ამ ზონაში ავტომაგისტრალის მშენებლობა დაიწყეს.

მკვლევართა ჯგუფის წევრის, ჯეიკობ ვარდის განცხადებით, ეს აღმოჩენა თამაშის წესებს ცვლის, რადგან დრამატულად შეიცვლება ყველაფერი, რაც ნეოლითური ხანის შესახებ ვიცით.



ამ დრომდე მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ეს რეგიონი იმ პერიოდში დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო. თუმცა, გარემო პირობები სულ სხვა რამეზე მიუთითებდა — ხეობაში არის ნაყოფიერი მიწები და მდინარე სორეკის მტკნარი წყალი.

თურქეთში აღმოჩენილ ქალაქ ჩათალჰოიუქისგან განსხვავებით, მოცას მეტროპოლისში შეინიშნება ფართო, თავისუფალი გასავლელები შენობებს შორის. ჩათალჰოიუქის მცხოვრებლებს ქალაქში გადაადგილება მხოლოდ შენობიდან შენობაზე, კიბეების საშუალებით შეეძლოთ.

ქალაქის ერთ ნაწილში აღმოჩენილია საცავები, სადაც ადამიანები თესლებსა და საკვებს, მათ შორის ოსპსა და მუხუდოს ინახავდნენ.

სამარხებში აღმოჩენილი კულტურული არტეფაქტები და ძვირფასი ნაკვეთი ნივთები, მაგალითად სამაჯურები და მედალიონები მიუთითებს, რომ იქ მცხოვრები საზოგადოება ამზადებდა და ყიდდა ეგზოტიკურ საგნებს.

მკვლევართა განცხადებით, აღმოჩენილი ნივთები მიუთითებს, რომ ამ უძველეს ხალხს გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ გაჩაღებული სხვა შორეულ ადგილთა მცხოვრებლებთან.

სამარხებში აღმოჩენილია უცნობი ტიპის ქვისგან დამზადებული უნიკალური ობიექტები, ასევე ანატოლიის ობსიდიანისგან (ვულკანური მინა) დამზადებული საგნები, ხმელთაშუა და წითელი ზღვებიდან მოტანილი ნიჟარები.

გათხრებისას ასევე აღმოაჩინეს კაჟის იარაღები, მათ შორის სანადირო და საბრძოლო ისრები, ნაჯახები და დანები.

ზოგიერთი იარაღი სოფლის მეურნეობისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; ირკვევა, რომ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლეული.

მკვლევართა განცხადებით, გარდა მარცვლეულისა, ეს უძველესი ხალხი ასევე ჭამდა ძროხას, ღორს და სავარაუდოდ, პირველი საზოგადოება იყო, რომელმაც თხა მოიშინაურა.

შეჭმულ ცხოველთა ძვლები მიუთითებს, რომ ქალაქის მოსახლეობა თავდაპირველად მონადირე-შემგროვებელი უნდა ყოფილიყო, შემდეგ კი დასახლება თანდათან დაიხვეწა და ზომაშიც სწრაფად გაზრდილა.

გათხრები გრძელდება. არქეოლოგთა განცხადებით, ეს უპრეცედენტო ძეგლი ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს მალავს.

*მომზადებულია mfa.gov.il -ისა და ScienceAlert -ის მიხედვით.*

# ბრუნავს თუ არა სამყარო?

**თუკი კოსმოსში მიმოიხედავთ, ნამდვილად ბევრ რამეს დაინახავთ პლანეტებს, ვარსკვლავებს, მთვარეებს, თავად გალაქტიკებსაც კი. მათ ყველას ერთი რამ აქვთ საერთო — ბრუნავენ. საინტერესოა, ბრუნავს თუ არა თავად სამყაროც?**

ამ საიდუმლოს ამოხსნას კოსმოლოგები წლებია ჯიუტად ცდილობენ, რადგან მას შეუძლია ბევრი რამ გვითხრას სამყაროს ფუნდამენტური ბუნების შესახებ. მერილენდის უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსის ტეს ჯეიფის განცხადებით, ისევე როგორც ბევრი რამ კოსმოლოგიაში, ეს კითხვაც ძალიან აბსტრაქტულია, მაგრამ მასზე პასუხი კოსმოლოგებს ფუნდამენტური ფიზიკის შესწავლის გზას სთავაზობს.

მისივე თქმით, არსებობს ბევრი რაღაც, რისი შემოწმებაც ლაბორატორიაში შეუძლებელია, შესაბამისად, იყენებენ სამყაროს გეომეტრიას, რომელსაც ფუნდამენტური ფიზიკის შესახებ რაღაც ახლის თქმა შეუძლია.

სამყაროს ფუნდამენტურ ბუნებაზე ფიქრი მეცნიერებმა იმ რწმენით დაიწყეს, რომ სამყარო არ ბრუნავს და ის იზოტროპულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველა მიმართულებით ერთნაირად გამოიყურება. ეს ვარაუდი თანხმობაშია აინშტაინის განტოლებებთან, მაგრამ ისინი ამას არ მოითხოვს. იმ გადმოსახედიდან, მეცნიერებმა შექმნეს კოსმოლოგიური მოდელის სტანდარტი, რომელიც სამყაროს აღწერს.

ასტროფიზიკოს დანიელა საადეჰის განცხადებით, სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით მიმდინარეობს ასტრონომიული გათვლები, მონაცემთა ანალიზი და სხვა ბევრი რამ. თუმცა, მისი შემოწმება აუცილებელია.

ამის შესამოწმებლად, იყო თუ არა სამყაროსა და მისი ფუნდამენტური ფიზიკის შესახებ არსებული ეს



მოსაზრება მართებული, მეცნიერებმა მოდელების შესამოწმებლად დაკვირვებები დაიწყეს. ამისათვის მათ ძირითადად გამოიყენეს კოსმოსური მიკროტალღური ფონის სინათლე. ეს სინათლე უძველესია, რომლის დანახვაც შეგვიძლია, რადგან გამოყოფილია დიდი აფეთქებიდან მხოლოდ 380 000 წლის შემდეგ და ინფორმაციის ნამდვილი განძის ყუთია კოსმოლოგთათვის სამყაროს შესასწავლად.

კოსმოსური მიკროტალღური ფონი თითქმის იდენტურია ყველა მიმართულებით, მაგრამ მის ტემპერატურაში არსებობს დაახლოებით ათასგრადუსიანი მცირე სახესხვაობები, რისი მიზეზიც სამყაროს ისტორია, შემცველობა და გეომეტრიაა. ამ სახესხვაობათა შესწავლის გზით, მეცნიერებს შეუძლიათ ნახონ, არის თუ არა სამყარო დეფორმირებული რომელიმე მიმართულებით, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ ბრუნვა ან გაფართოება რომელიმე მიმართულებით უფრო მეტია სხვა ნებისმიერ მიმართულებისაზე. სინათლის პოლარიზაციის გაზომვას, განსაკუთრებით კი მისი მიმართულებისას, შეუძლია ინფორმაცია მოგვცეს სამყაროს გეომეტრიის შესახებ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კოსმოსურ მიკროტალღურ ფონს სამყაროს ბრუნვის მტკიცებულება არ გააჩნია. გარდა ამისა, 2016 წლის კვლევის მიხედვით, სამყაროს იზოტროპიკულობის ალბათობა 120 000-ში ერთია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ერთნაირია ყველა მიმართულებით. კიდევ ერთმა კვლევამ კი დაადგინა, რომ სამყაროს ჰომოგენურობის შანსი 95 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ერთნაირია ყველგან, ფართო მასშტაბებში.

ყველა ამ კვლევის მიხედვით, სამყარო დიდწილად ერთნაირია და არ ბრუნავს. ეს დასკვნა დიდი ალბათობით არ შეიცვლება. მომდევნო ათწლეულებში შესაძლოა უფრო გაუმჯობესდეს კოსმოსური მიკროტალღური ფონის პოლარიზაციის გაზომვის ტექნიკა, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ახალმა მონაცემებმა წინა კვლევების შედეგები შეცვალოს.

*მომზადებულია space.com -ის მიხედვით.*

**გვერდი მოამზადდა მიხეილ ჭაბუკაშვილის მასალების მიხედვით**

# თანამედროვე ადამიანთა დნმ-ში ადამიანის ორი უცნობი, გადაშენებული სახეობის კვალი აღმოაჩინეს

**როცა თანამედროვე ადამიანებმა აფრიკიდან გამოსვლა და ევრაზიაში გავრცელება დაიწყეს, მიადგნენ მრავალ ისეთ ადგილს, რომელიც უკვე დაკავებული ჰქონდათ ძველ ჰომინიდებს, მაგალითად, ნეანდერტალებსა და დენისოვანებს. როგორც ჩანს, ახალი მეზობლები მათ საკმაოდ გულთბილად მიიღეს, რადგან ამის მტკიცებულება დღემდე ინახება ჩვენს დნმ-ში.**

ავსტრალიის ადელაიდის უნივერსიტეტის ბიოლოგის ჟუან ტეიშეირას განცხადებით, ყველა ჩვენგანი ვატარებთ ჰომინიდებთან მომხდარი აღრევის გენეტიკურ კვალს.

**„ეს არქაული ჯგუფები საკმაოდ გავრცელებული და გენეტიკურად მრავალფეროვანი იყო, ისინი თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობენ. მათი ამბავი ჩვენი ჩამოყალიბების ისტორიის ნაწილია“,** — ამბობს ტეიშეირა.

არსებული ლიტერატურის დეტალური ანალიზის შემდეგ, ტეიშეირამ და მისმა კოლეგამ, ბიოლოგმა ალან კუპერმა თანამედროვე ადამიანის დნმ-ში გამოავლინა ორი ასეთი „მოჩვენება“ წინაპარი. პირველი მათგანი ევროპულ დნმ-ში ხელოვნურმა ინტელექტმა იპოვა.

მეორე კი შარშან, ვრცელი კვლევის ფარგლებში აღმოაჩინეს — იდუმალ, დაუჯერებელ გენეტიკურ ხელწერას ექსკლუზიურად ინდონეზიის კუნძულ ფლორესის მოსახლეობაში მიაგნეს. ის ისევე განსხვავდება თანამედროვე ადამიანის დნმ-ისგან, როგორც ნეანდერტალებისა და დენისოვანების დნმ.

ამ გენეტიკური ხელწერების გულმოდგინე ანალიზის შემდეგ, ბიოლოგებმა დაადგინეს, სად და როდის უნდა მომხდარიყო ამ სახეობათა შეჯვარებები.

ტეიშეირას განცხადებით, ყველა თანამედროვე ადამიანში ნეანდერტალი წინაპრების კვალი 2 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნეანდერტალებთან თანამედროვე ადამიანთა წინაპრებების შერევა ამ უკანასკნელთა მიერ აფრიკის დატოვებიდან მალევე მოხდა, 50 000-55 000 წლის წინ, სადღაც ახლო აღმოსავლეთში.

უფრო აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებისკენ გადაადგილებისას, თანამედროვე ადამიანები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მეტ ჯგუფს შეერივნენ.

როგორც ტეიშეირა აღნიშნავს, ამ რეგიონს არქაულ ადამიანთა სულ მცირე სამი სხვა ჯგუფი იკავებდა. თანამედროვე ადამიანები მათ თანდათან შეერივნენ, შემდეგ კი ეს არქაული ჯგუფები გადაშენდა.

ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი გახლდათ დენისოვანები. დანარჩენი ორი ჯერჯერობით უცნობია.

პირველი უცნობი გადაშენებული ჰომინიდი, სახელად EH1 გენეტიკურად თანაბრად იყო დაშორებული როგორც დენისოვანებისგან, ისე ნეანდერტალებისგან. მთელი აზიისა და ავსტრალო-პაპუასების წინაპარი EH1-ს შეერია, რის შედეგადაც, მათში EH1-ის წილი 2,6-3,4 პროცენტი გახდა.

ის ახლა გაცილებით სუსტია, მაგრამ გენეტიკური სიგნალების დაფიქსირება დღემდე შეიძლება აბორიგენი ავსტრალიელების, აღმოსავლეთ აზიელებისა და ანდამანის კუნძულების მოსახლეობის დნმ-ში. გამომდინარე აქედან, მეცნიერები თვლიან, რომ EH1 ბინადრობდა ჩრდილოეთ ინდოეთის რომელიმე რეგიონში, სადაც მათ აზიის, ავსტრალიისა და პაპუა-ახალი გვინეისკენ მიმავალ თანამედროვე ადამიანთა ჯგუფი შეხვდა.

როგორც ჩანს, თანამედროვე ადამიანები რამდენიმე ადგილას შეერივნენ დენისოვანებსაც, ძირითადად აღმოსავლეთ აზიაში, ზონდის შელფზე და ფილიპინებში.

უფრო ბურუსით არის მოცული EH2-ის მტკიცებულება — გადაშენებული ჰომინიდი, რომელიც თანამედროვე ადამიანებთან კუნძულ ფლორესზე შეჯვარდა. მისი კვალი ჩანს მხოლოდ ლიანგბუას მღვიმის სიახლოვეს მცხოვრებ დაბალი ტანის ადამიანებში; სწორედ იქ აღმოაჩინეს Homo floriensis-ი. შესაბამისად, ის ძლიერ ლოკალიზებულია და როგორღაც დღემდე შემორჩა ორი ჯგუფის შეჯვარებიდან 50 000 წლის შემდეგაც.

ამ ფენომენებს უდავოდ სჭირდება შემდგომი კვლევები, რადგან ადამიანთა ისტორიის ეს მონაკვეთი ძალიან აწეწილ-დაწეწილია.

როგორც ტეიშეირა აღნიშნავს, ადამიანთა აფრიკიდან გამოსვლის ამბავი რომ მარტივი არ იყო, აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ის იმაზე გაცილებით კომპლექსური ჩანს, ვიდრე შეგვეძლო წარმოგვედგინა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის კუნძულებზე აშკარად სახლობდა არქაულ ადამიანთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისგან იზოლაციაში ასობით და ათასობით წელიწადს რჩებოდნენ, სანამ ერთ მშვენიერ დღესაც, იქ თანამედროვე ადამიანთა წინაპრები გამოჩნდნენ.

სამწუხაროდ, ჩვენს წინაპართა იქ მისვლას არქაულ ჰომინიდთა ყოველი ამ ჯგუფის გადაშენება მოჰყვა.

კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.

***მომზადებულია adelaide.edu.au -სა და ScienceAlert -ის მიხედვით.***

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები უსამძიმრებენ გაზეთის კომპიუტერული ცენტრის ოპერატორს, მეგობარსა და კოლეგას შორენა გვილიას დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

## ნათელა გვილიას

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადი მეგობრული გრძნობით უსამძიმრებს ჩვენი გაზეთის ერთგულ ავტორს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს და პოლიტოლოგს ჰამლეტ ჭიპაშვილს მეუღლის**

## თინა დოლიძის

**გარდაცვალების გამო.**

---

**მურიკო თოფურიძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, უშანგი დალალიშვილი, იგორ ჩხეიძე დიდი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების**

## დავით შუბითიძის

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში მყოფ მეუღლეს, ქალბატონ შორენა გველესიანს და ქალიშვილს ნინო შუბითიძეს.**

# ქართული ფილმის პრემიერა ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალზე

**ლოკარნოს საერთაშორისი კინოფესტივალზე ქართული ფილმის „მთები, მარტოობა, სურვილი“ პრემიერა გაიმართა. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით ფილმი 15 ნოველისგან შედგება, რომელზეც 15 რეჟისორი შვეიცარიის მთებში მუშაობდა.**



ერთ-ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი ქართველ რეჟისორ გიორგი ვარსიმაშვილს ეკუთვნის. ფილმს „არჩევანი“ ჰქვია და იგი გიორგი ცხვედიანის სცენარის მიხედვით არის შექმნილი. ფერების დიზაინზე იმუშავა ნიკო ტარიელაშვილმა.

რეჟისორების შერჩევა მოხდა ლოკარნოს კინოფესტივალის პატრონაჟითა და ტიჩინოს კინოკომისიის მხარდაჭერით. საბოლოო გადაწყვეტილება უნგრელმა რეჟისორმა ბელა ტარმა მიიღო, რომელიც პროექტის მენტორი იყო. გიორგი ვარსიმაშვილთან ერთად ფილმზე იმუშავეს რეჟისორებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მექსიკიდან, სომხეთიდან, ბულგარეთიდან და ფილიპინებიდან.

# ცნობილი შეფ-მზარეულების კულინარიული ტური

**აჭარას უცხოელი და ქართველი შეფ-მზარეულები სტუმრობენ. მათ შორისაა კულინარიის სფეროში მრავალი ჯილდოს მფლობელი ხორხე ბრეტონი,** La Sucursal and |ertical-**ის ბრენდშეფი და ესპანეთში ცნობილი ქართველი შეფ-მზარეული, მადრიდის მასტერშეფის ჟიურის წევრი დავით ნარიმანიშვილი.**

ისინი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელშეწყობით აჭარულ სამზარეულოს გაეცნენ და თავადვე მოამზადეს ბორანო, სინორი, აჭარული ხაჭაპური და სხვა ადგილობრივი კერძები. 14 აგვისტოს კი შეფ-მზარეულები მონაწილეობდნენ „გო'ე'მიო“ საქართველოს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში „ქართულ-ბასკური ვახშამი“, სადაც სტუმრებს ქართულ-ბასკური კერძების მრავალფეროვანი მენიუ შესთავაზეს. ღონისძიების მიზანი აჭარაში კულინარიისა და სარესტორნო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა.

# ჰაერის დაბინძურებას ხელოვნური ხეებით ებრძვიან

**მექსიკის ქალაქ პუებლაში დაამონტაჟეს რობოტიზირებული ხეები, რომლებიც ჰაერის დაბინძურებას ებრძვიან.**

ხელოვნური ხე BioUrban-ი იმდენ დაბინძურებულ ჟანგბადს შთანთქავს, რამდენსაც 368 ნამდვილი. რობოტიზირებული ხე ჰაერის გასუფთავებას მიკროწყალმცენარეებით ახდენს, რომლებიც მის მეტალის სტრუქტურაშია ჩანერგილი. აღნიშნული პროექტი მექსიკურმა სტარტაპმა შეიმუშავა. დანადგარის სიმაღლე 4,2 მეტრია, სიგანე 3 მეტრი. BioUrban-ის ფასი 50 ათასი დოლარია.

◎ დღესასწაული

# ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

## (ყურძნისა და სხვა ნაყოფთა კურთხევა)

**19 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ფერისცვალებას უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.**

ფერისცვალება უკავშირდება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების იმ ეპიზოდს, როდესაც მან მოციქულებს უწინასწარმეტყველა თავისი ვნებისა და სიკვდილის მოახლოება, ჯვარცმა იერუსალიმში და განუმტკიცა რწმენა, მისი ვნების დროს არ ცდუნებულიყვნენ. ამიტომ, ზოგიერთ თავის მოწაფეს, კერძოდ პეტრეს, იაკობს, და იოანე მოციქულებს ეჩვენა თავისი საღვთო დიდებით თაბორის მთაზე, სადაც ისინი სალოცავად ავიდნენ.

საგულისხმოა, რომ ლოცვის დროს მაცხოვრის სახე განათდა, გაბრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი გახდა თეთრი, როგორც თოვლი. მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში... აღსანიშნავია ისიც, რომ თავიდან მოწაფეები რულმა მოიცვა. როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამაღმერთის ხმა — **„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“.**

**გიული ლიპარტია**

# სავარაუდოდ, აღმოჩენილია გურჯი ხათუნის საფლავი

თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩოს ინფორმაციით, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სავარაუდოდ, გურჯი ხათუნის საფლავია აღმოჩენილი.

**„სავარაუდოდ, თურქეთში აღმოჩენილია გურჯი ხათუნის საფლავი! თურქეთის ქალაქ ერზერუმის პასინლერის რაიონში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგადაც, სავარაუდოდ, აღმოჩენილ იქნა სულთან ალაედინ ქეიყუბად II-სა და მისი დედის, გურჯი ხათუნად წოდებული თამარ დედოფლის სარკოფაგები. საელჩო იწყებს აღნიშნული საკითხის მოკვლევას“,** — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც თურქეთში საქართველოს საელჩოს ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. გურჯი ხათუნი იგივე თამარ ბაგრატიონი, იყო თამარ მეფის შვილიშვილი. რუსუდან მეფისა და არზრუმის სულთნის ტოღრილის შვილის მოღის ედ დინის ასული. 13 წლის ასაკში იგი რუმის 17 წლის სულთანს ყიას ადდინ ქეი ხუსრევ II მიათხოვეს. ქორწინება პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა.

გურჯი ხათუნის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ წერილობითი წყაროები არ არსებობს, გადმოცემები კი ურთიერთგამომრიცხავია — ზოგი ვერსიით ის კონიაში გარდაიცვალა, ზოგი ვერსიით კი საქართველოში გამოიპარა და აქ განისვენებს. თანამედროვეთათვის გურჯი ხათუნის საფლავი უცნობია.

# „მეტალიკა“ ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებს ეხმარება

**ამერიკულმა ჯგუფმა „მეტალიკამ“ რუმინეთში ბავშვთა ონკოლოგიური საავადმყოფოს მშენებლობას 250 ათასი ევრო შესწირა. ეს ქვეყანაში პირველი ბავშვთა ონკოლოგიური ჰოსპიტალი იქნება.** საავადმყოფოს მშენებლობისთვის ფონდების მოძიება რუმინული ასოციაცია „დარუეჟსტე ვიატა“ ცდლობს. სწორედ აღნიშნულმა ასოციაციამ გაავრცელა ინფორმაცია მუსიკალური ჯგუფის შემოწირულობის შესახებ.

„ჩვენი მიზანია, სულ მცირე სიხარული მაინც მოვუტანოთ ავადმყოფ ბავშვებს ისევე, როგორც „მეტალიკა“ აბედნიერებს თავის თაყვანისმცემელს მთელ მსოფლიოში“, — განცხადა რუმინული ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კარმენ უსკატუმ.

„მეტალიკას“ შემოწირულობის შესახებ ბუქარესტში 14 აგვისტოს ჯგუფის კონცერტამდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი. ეს რუმინეთში ამერიკული ბენდის რიგით მეოთხე კონცერტი იყო.

ბუქარესტში ბავშვთა ონკოლოგიური საავადმყოფოს მშენებლობა 2018 წელს დაიწყო. პროექტი სავარაუდოდ მომავალ წელს დასრულდება. ჰოსპიტალის მშენებლობისთვის თანხები შეწირა 260 ათასმა პირმა და ორი ათასამდე კომპანიამ.

# ტრამპს გრენლანდიის ყიდვა სურს

**აშშ-ის პრეზიდენტმა თანაშემწეებსა და მრჩევლებთან პრივატულ საუბრებში აშშ-ის მიერ კუნძულ გრენლანდიის ყიდვის იდეა განიხილა,** — ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „როიტერსი“ „სიტუაციაში გარკვეულ ორ წყაროზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, იდეა, ზოგიერთმა ხუმრობად მიიღო და გაიცინა, ზოგმა კი, სრული სერიოზულობით. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, გრენლანდიის ყიდვის იდეა პირველად პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს გაუჩნდა და ის 1946 წელს მზად იყო, გრენლანდიის სანაცვლოდ 100 მილიონი აშშ დოლარი გადაეხადა.

**მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით**

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

**საქართველოს რესპუბლიკა**
**SAKARTVELOS RESPUBLIKA**

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9182; ევრო - 3.2555;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5351;
100 რუბლი - 4.3899; თურქული ლირა - 0.5209;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7165;
1000 სომხური დრამი - 6.1358.

**ამინდი 17 აგვისტოსთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე | +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე | +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე | +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე | +30 |
| თბილისი: | ღამე | +24, | დღე | +35 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge